პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

KOMUNISTI

1977 სამშაბათი 11 იანვარი №8 (16745) ფასი 2 კაპ. 1977

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ს კკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, საკავშირო პროფსაბჭო და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ მუშები და კოლმეურნეები, ინჟინერ-ტექნიკური და მეცნიერ მუშაკები, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების ყველა მშრომელი კიდევ უფრო ფართოდ გააჩაღებენ საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებას სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით — მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, ახალი შრომითი წარმატებებით შეხვდებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს, ღირსეულ წვლილს შეიტანენ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, საკავშირო პროფსაბჭო და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებმა მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის, მთელი საბჭოთა ხალხის შრომითი აქტივობის ახალი აღმავლობა გამოიწვიეს.

ეკონომიური და სოციალური პროგრესის მძლავრი ბერკეტი, მშრომელთა პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის სკოლა სოციალისტური შეჯიბრება, რომელსაც ჭეშმარიტად საყოველთაო სახალხო ხასიათი მიენიჭა, და უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა. იგი განუწყვეტლივ მდიდრდება ახალი გამოცდილებით, შესანიშნავი პატრიოტული თაოსნობებით. იხვეწება მისი ორგანიზაციის ფორმები და მეთოდები, ძლიერდება შეჯიბრების მონაწილეთა ყურადღება ეფექტიანობის ამაღლებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისადმი, ფართოვდება მოძრაობა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის.

მშრომელებმა მოქმედების კონკრეტულ პროგრამად აღიქვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში მოცემული დებულებები და დასკვნები. მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მუშაკები აქტიურად ჩაებნენ მეათე ხუთწლედის — ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედის შესრულებისათვის ბრძოლაში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთვის აღსანიშნავად მოსკოვის, ლენინგრადისა და სხვა ქალაქების მრეწველ მუშები და კოლეტივები კისრულობენ მაღალ სოციალისტურ ვალდებულებებს, იღებენ შემზღედრ გეგმებს, რათა უფრო სრულად გამოიყენონ წარმოების რეზერვები, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, მოწინავე გამოცდილება. საგეგმო დავალებათა გადაჭარბებით შესრულების ინიციატორებად გამოვიდნენ დასავლეთციმბირელი მენავთობეები, ორენბურგელი მეიარეები, მაგნიტოგორსკელი მეტალურგები, დონეცკელი მეშახტეები. ივანოვოსა და მოსკოვის ოლქების მოწინავე ფეიქრებმა გადაწყვიტეს შრომის უმაღლეს ნაყოფიერებას მიაღწიონ. სვერდლოვსკის ოლქის ხაწარმოებში ვრცელდება მოძრაობა ყოველი მშრომელის, თვითეული კოლექტივის მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის. წარმატებით შეასრულეთ სიმძლავრეებისა და ობიექტების ამოქმედების დავალებანი, შეეგებეთ მშენებლობის ვადები და ღირებულება, გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი — მოწყობილ მშენებლებს მოწინავე საამშენებლო ორგანიზაციათა კოლექტივებმა. რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში სულ უფრო ფართოდ უჭერენ მხარს ყუბანელ მხვნელ-მთესველთა ინიციატივას, რომ გაზარდონ მარცვლეულის წარმოება და გადაჭარბებით შეასრულონ სახელმწიფოსათვის მისი მიყიდვის გეგმები, კიევისა და ტულის ოლქების მეცხოველეთა თაოსნობას, რომ ყოველი ღონისძიებით გაადიდონ ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების წარმოება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, საბჭოთა კავშირის პროფესიული კავშირების ცენტრალური საბჭო და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი, რომლებიც დიდად აფასებენ მშრომელთა პატრიოტულ თაოსნობებს და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ სოციალისტური შეჯიბრების შემდგომ განვითარებას, ადგენენ:

1. პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა, საწარმოებმა, გაერთიანებებმა, მშენებლობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელძღვანელებმა ორგანიზატორული და იდეურ-პოლიტიკური მუშაობა წარმართონ სოციალისტური შეჯიბრების ყოველმხრივ განვითარებისათვის, რათა წარმატებით განხორციელდეს სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული სოციალურ-ეკონომიური ამოცანები, მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდეს მეათე ხუთწლედისათვის დაწესებული სახალხო-სამეურნეო გეგმის დავალებანი ლენუნგიერ „ვიმუშაოთ უკეთ, ავამაღლოთ ეფექტიანობა და გავაუმჯობესოთ ხარისხი!".

ფართოდ გაიჩაღონ 1977 წელს სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთვის ღირსეულად შეხვედრისათვის, ჩაიბან ამ შეჯიბრებაში ყველა მუშა, კოლმეურნე, სპეციალისტი, რათა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით განაღდონ საიუბილეო წელს საგეგმო დავალებანი, შეასრულონ ხუთწლედის წარმატებით შესრულების საიმედო გარანტია. მოიწონონ მოწინავე მუშებისა და კოლეტივების ინიციატივა, რომლებმაც ვალდებულება იკისრეს ხუთწლედის პირველი ორი წლის დავალებანი შეასრულონ 1977 წლის 7 ნოემბრისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ შემზღედრი გეგმების მიღებასა და რეალიზაციას. ამ მუშაობის განხორციელებისას იზელმძღვანელონ იმით, რომ შემზღედრი გეგმა დიდმნიშვნელოვანი ფორმაა მშრომელთა კოლეტივების და თვითეული მუშაკის აქტიური მონაწილეობისა შინაგანი რეზერვების გამოძებნასა და ეველაზე სრულ გამოყენებაში, გამოხატავს მათს მისწრაფებას, რომ საზოგადოების ინტერესებისათვის კონკრეტული წვლილი შეიტანონ დასახული მიზნების უფრო სწრაფად და ყველა სახეობის რესურსებას ნაკლები დანახარჯებით მიღწევაში.

სრულყონ ნედლეულის, მასალების, მაკომპლექტებელი ნაწარმის მიმწოდებელ საწარმოთა კოლეტივებისა და მზა პროდუქციის გამომშვები ფაბრიკა-ქარხნების კოლეტივებს, ეგრეთვე მოიპოვონ ბრიგადების, უბნების, საამქროების კოლეტივების შეჯიბრების ორგანიზაცია.

მიაღწიონ სოციალისტური შეჯიბრების მაღალ ქმედითობას, გამოიყენონ მისი უდიდესი შესაძლებლობანი იმ მიზნით, რომ კიდევ უფრო განმტკიცდეს საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური ძლიერება, განუხრელად უმჯობესდებოდეს ხალხის კეთილდღეობა, მშრომელთა კომუნისტური აღზრდა, ვითარდებოდეს სოციალისტური ცხოვრების წესი.

2. შეჯიბრების მონაწილეთა მთავარი ყურადღება დაეთმოს იმას, რომ:

არსებითად აამაღლონ წარმოების ეფექტიანობა და მუშაობის ხარისხი, ამასთან უზრუნველყონ ყოველთვიური, კვარტალური, წლიური გეგმების, დავალებისა და საერთოდ ხუთწლედის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება;

გაზარდონ შრომის ნაყოფიერება იმ გზით, რომ დაჩქარონ წარმოების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ტემპი, დანერგონ შრომის ორგანიზაციის მოწინავე ფორმები, სრულყონ კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საქმე, განამტკიცონ შრომისა და საწარმოო დისციპლინა;

უკეთ გამოიყენონ ძირითადი საწარმოო ფონდები იმ გზით, რომ უზრუნველყონ საწარმოო პროცესების ინტენსიფიკაცია, გადიდონ მანქანა-მოწყობილობის მუშაობის ცვლითობის კოეფიციენტი და აღმოფხვრან მათი მოცდენა, დაჩქარონ ახალმოქმედებელი სიმძლავრეთა ათვისება;

მტკიცედ დაიცვან მომჭირნეობის რეჟიმი, რაციონალურად გამოიყენონ მატერიალური რესურსები იმ საფუძველზე, რომ უფრო ფართოდ გამოიყენონ პროგრესული კონსტრუქტორული გადაწყვეტები, სრულყონ ტექნოლოგია, შეამცირონ ნედლეულისა და მასალის ხვედრითი ხარჯი, უფრო ღრმად და კომპლექსურად გადაამუშაონ ისინი, ფართოდ მოიხმარონ მეორეული რესურსები.

მიაღწიონ ყველა სახეობის პროდუქციის მაღალ ხარისხს, გაადიდონ უმაღლესი კატეგორიის ხარისხის ნაწარმის გამოშვება და გაზარდონ მისი ხვედრითი წონა წარმოების საერთო მოცულობაში;

დაჩქარონ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპი, აამაღლონ მეცნიერული კვლევის შედეგიანობა, შექმნან ახალი ნაკეთობანი, რომლებიც თავაზობენ ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლებით საუკეთესო საბჭოურ და მსოფლიო მიღწევებს აჯობებს, ფართოდ დანერგონ მეცნიერული ნამუშევრები სახალხო მეურნეობაში. კიდევ უფრო განავითარონ რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა მოძრაობა;

დროულად აამოქმედონ დამთავრებული ობიექტები და ასამუშავებელი კომპლექსები, დაჩქარონ მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქცია და ტექნიკური განახლება, შემცირონ დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობა, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესრულების ვადები და ღირებულება;

შეუფერებლად დაკმაყოფილონ სახალხო მეურნეობის მზარდი მოთხოვნილება ნედლეულით, სათბობით, ენერგიითა და ლითონით;

აწარმოონ და დანიშნულებისამებრ მიაწოდონ დადგენილი ნომენკლატურისა და ასორტიმენტის პროდუქცია შეკვეთებისა და დადებული ხელშეკრულებების შესაბამისად;

გაზარდონ მარცვლეულის, ხორცის, რძისა და მიწათმოქმედების და მეცხოველეობის სხვა პროდუქციის წარმოება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა, გააუმჯობესონ მისი ხარისხი, აამაღლონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობა, მაიწონონ თვითეული ჰექტარის, ყოველი დაბანდებული მანეთის, თვითეული ტონა სასუქის მაქსიმალურ უკუგებას;

ყოველი ღონისძიებით გაზარდონ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება, გააფართოონ და განაახლონ მისი ასორტიმენტი, გაადიდონ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამის ახალ სახეობათა ნაწარმის გამოშვება;

უფრო სრულად და დროულად დაკმაყოფილონ სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებანი ყველა სახეობის ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაზე, დაჩქარონ ტვირთის მიტანა, შეამცირონ ხარჯები და არარაციონალური ტვირთზიდვა, გააუმჯობესონ სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენება;

აამაღლონ არასაწარმოო სფეროს ყველა დარგის მუშაკთა შრომის ეფექტიანობა და კულტურა, გააფართოონ მომსახურების მოცულობა და სახეობანი, დანერგონ მოსახლეობის მომსახურების პროგრესული ფორმები.

3. მოიწყოს საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება, რომლის შედეგებს შეაჯამებენ მეათე ხუთწლედის თვითეული წლისა და მთელი ხუთწლედის მიხედვით და რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ:

წამყვან პროფესიათა მუშაკები — გამარჯვებულებს გადაეცემათ სამინისტროების (უწყებების) და პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტების საპატიო დიპლომები და სამახსოვრო საჩუქრები ან ფულადი პრემიები;

ბრიგადების, უბნების, რგოლების, განყოფილებების, ფერმების კოლექტივები — გამარჯვებულებს გადაეცემათ სამინისტროების (უწყებების) და პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტების საპატიო ვიმპელები და სამახსოვრო საჩუქრები ან ფულადი პრემიები;

კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადები — გამარჯვებულებს გადაეცემათ გარდამავალი წითელი დროშები — „ხუთწლედების გმირები, შრომის ვეტერანები — საუკეთესო კომკავშირულ-ახალგაზრდულ კოლექტივს", დიპლომები და ფულადი პრემიები;

სამრეწველო, საწარმოო, სამეცნიერო-საწარმოო, სამეურნეოთაშორისო, აგროსამრეწველო და სხვა გაერთიანებების, მათი საწარმოო ერთეულების, საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობების. საბჭოთა მეურნეობების, სამეცნიერო-საკვლევი, საპროექტო, საკონსტრუქტორო და სხვა ორგანიზაციებისა და დაწესებულებების, უმაღლესი საშუალებლების კოლექტივები—გამარჯვებულებს გადაეცემათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები, დიპლომები და ფულადი პრემიები, ეგრეთვე შესაბამისი სამინისტროების (უწყებებისა) და პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტების გარდამავალი წითელი დროშები და ფულადი პრემიები. კოლექტივებს, რომლებიც წლის შედეგების მიხედვით სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით დაჯილდოვდებიან და ყველაზე მაღალ და სტაბილურ მაჩვენებლებს მიაღწევენ დაძაბული შემზღედრი გეგმებისა და გადიდებული სოციალისტური ვალდებულებების შესრულებაში, შეიტანენ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საკავშირო ხაბატიო დიპლომზე. 1977 წლის შედეგების მიხედვით გარდამავალი დროშებით დაჯილდოებისა და საპატიო დიპლომზე შეტანისას გათვალისწინებული იქნება აგრეთვე დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის შეჯიბრებაში მიღწეული შედეგები;

ქალაქები, ეროვნული ოკრუგები, ხაქალაქო და სასოფლო რაიონები — გამარჯვებულებს გადაეცემათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები, დიპლომები და ფულადი პრემიები;

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკები, მხარეები და ოლქები — გამარჯვებულებს გადაეცემათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები და დიპლომები.

4. დაწესდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამახსოვრო ნიშანი „მეათე ხუთწლედში მუშაობის მაღალი ეფექტიანობისა და ხარისხისათვის", რომლითაც დაჯილდოვდებიან საწარმოების, გაერთიანებების, მშენებლობების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეცნიერო-საკვლევი და სხვა ორგანიზაციების, საპროექტო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივები. სამახსოვრო ნიშნით დაჯილდოვონ კოლექტივები, რომლებიც განსაკუთრებით მაღალ ხარისხობრივ მაჩვენებლებს მიაღწევენ მეათე ხუთწლიანი გეგმის დავალებათა შესრულებაში და რომლებიც საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების წლიური შედეგების მიხედვით ბევრჯერ ყოფილან დაჯილდოებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით.

მუშების, კოლმეურნეების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების დასაჯილდოებლად დაწესდეს:

„სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულის" ერთიანი საერთო-საკავშირო სამკერდე ნიშანი — ხუთწლედის შეასამისი წლის დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის;

„მეათე ხუთწლედის დამკვრელის" ერთიანი საერთო-საკავშირო სამკერდე ნიშანი და გადაეცეთ სამახსოვრო საჩუქარი — მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებაში მაღალი მაჩვენებლების მიღწევისათვის, მეათე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

5. 15-მდე გადიდდეს სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების რაოდენობა, რომლებიც უთვალსაჩინოესი შრომითი მიღწევებისათვის ენიჭებათ სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეებს — მუშებს, კოლმეურნეებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს.

ნება დაერთოთ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო კომიტეტებს, სამინისტროებსა და უწყებებს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო აღმასკომებსა და საოლქო აღმასკომებს პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანოებთან ერთად წარადგინონ სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დასაჯილდოებლად:

შრომის მოწინავეები, რომლებიც უთვალსაჩინოეს შედეგებს მიაღწევენ მეათე ხუთწლიანი გეგმის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში;

საწარმოები, გაერთიანებანი, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, მშენებლობანი, სამეცნიერო-საკვლევი და სხვა ორგანიზაციები წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებაში განსაკუთრებით დიდი მიღწევებისათვის, საგეგმო დავალებებისა და სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის.

მიღებულ იქნეს წინადადებანი:

საკავშირო პროფსაბჭოსი—იმის შესახებ, რომ ყოველწლიურად 120 ათასი შეღავათიანი ტურისტული საგზური გამოიყოს საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთის ქვეყნებში სამოგზაურო წარმოების მოწინავეებს — საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულების წასახალისებლად:

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტისა — იმის შესახებ, რომ ყოველწლიურად ლენინური კომკავშირის პრემიები მიენიჭოთ კომკავშირულ-ახალგაზრდულ კოლექტივებსა და წარმოების ახალგაზრდა მუშებს, რომლებიც უმაღლეს შედეგებს მიაღწევენ სოციალისტურ შეჯიბრებაში, დაჯილდოვდნენ წარმოების მოწინავენი „ხუთწლედის ახალგაზრდა გვარდიელის" სამკერდე ნიშნით და ყოველწლიურად გამოეყოთ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებს 30 ათასი შეღავათიანი ტურისტული საგზური საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების ადგილებში და მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში სამოგზაუროდ.

6. პარტიულმა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა აქტიურად განვითარონ მოძრაობა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის, აამაღლონ მოთხოვნები კომუნისტური შრომის კოლექტივისა და დამკვრელის საპატიო წოდების მინიჭებისა და დამტკიცებისადმი.

კომუნისტური შრომის დამკვრელები და კოლექტივები სანამუშონი უნდა იყონ წარმოების უმაღლესი ეფექტიანობის მიღწევისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში, პროფესიული ოსტატობის, პოლიტიკური, ზოგადსაგანმათლებლო და კულტურული დონის ამაღლებაში, კომუნისტური მორალის ნორმების, სოციალისტური საერთო ცხოვრების დაცვაში.

7. სამინისტროებმა, უწყებებმა, პროფკავშირთა ცენტრალურმა კომიტეტებმა, პარტიულმა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, საწარმოებმა, გაერთიანებებმა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, მშენებლობების ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ, რომ საამქროებს, უბნებს, ბრიგადებს, ფერმებს, მუშებსა და კოლმეურნეებს გააცნონ ხუთწლედის წლებისა და მთელი ხუთწლედის საგეგმო დავალებანი. მიაღწიონ, რომ თვითეულ კოლეტივს, ყველა მშრომელს ნათლად ჰქონდეთ წარმოდგენილი ახალი მიჯნები და ამოცანები, რომლებიც უნდა გადაწყვიტონ. გააუმჯობესონ სოციალისტურ ვალდებულებათა ეკონომიური დასაბუთება, ყოველნაირად განავითარონ მოძრაობა შრომის საყოფიერების გადიდებისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების პირადი და კოლექტიური კომპლექსური გეგმების შემუშავებისა და შესრულებისათვის. სრულყონ ინჟინერ-ტექნიკური და მეცნიერი მუშაკების, სპეციალისტების შეჯიბრება შემოქმედებითი გეგმების, თანამეგობრობის ხელშეკრულებების საფუძველზე, აამაღლონ მათი როლი მუშათა, კოლმეურნეთა, მოსამსახურეთა შეჯიბრების ორგანიზაციაში.

სამინისტროებმა და უწყებებმა გაადიდონ სამეურნეო ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა შემზღედრი გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის საჭირო ორგანიზაციულ-ტექნიკური და ეკონომიური პირობების შესაქმნელად.

8. სამინისტროებმა, უწყებებმა, პროფკავშირთა ცენტრალურმა და რესპუბლიკურმა კომიტეტებმა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ მოწინავე გამოცდილების ფართო გეგმაზომიერი გავრცელება. მიჩნეულ იქნას ეს მუშაობა სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის უმნიშვნელოვანეს ამოცანად.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენამ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად მოაწყოს ყველაზე მასობრივი პროფესიულის და შრომითი კოლექტივების საუკეთესო მუშაკთა მოწინავე გამოცდილების შესწავლისა და გავრცელების საკავშირო სკოლა, რასაც დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. მოაწყოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად ამ გამოცდილების ფართო გაშუქება ცენტრალური და ადგილობრივი ტელევიზიითა და რადიოთი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტმა სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად უზრუნველყოს ისეთი ფილმების გადაღება და ფართო ჩვენება, რომლებიც აშუქებენ შრომისა და წარმოების ორგანიზაციის მოწინავე გამოცდილებას.

9. სამინისტროებმა, უწყებებმა, პროფკავშირთა ცენტრალურმა კომიტეტებმა, პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, სამეურნეო ხელმძღვანელებმა გააუმჯობესონ სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების პრაქტიკა. შეჯიბრებაში გამარჯვებულთა გამოვლინებასთან ერთად შეაფასონ საშუალო მაჩვენებლების მქონე, აგრეთვე ჩამორჩენილი კოლექტივებისა და მუშაკების საქმიანობა, დასახონ და განახორციელონ მუშაობის ხელმშემლელი მიზეზების აღმოფხვრის ღონისძიებანი.

განახორციელონ შეჯიბრების მონაწილეთა მორალური და მატერიალური სტიმულირების შემდგომი სრულყოფის ღონისძიებანი, უფრო მჭიდროდ დაუკავშირონ იგი საბოლოო შედეგებს, წარმოების ეფექტიანობის მაჩვენებლებს, მუშაობის მაღალ ხარისხს. უფრო სრულად გამოიყენონ მატერიალური წახალისების ფონდი და პრემირების მოქმედი სისტემა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა სტიმულირებისათვის. გამოიყენონ მოწინავეთა წახალისების სხვა ფორმები.

10. ცენტრალური და ადგილობრივი გაზეთების, ჟურნალების, რადიოს, ტელევიზიის რედაქციებმა ღრმად გააშუქონ სოციალისტური შეჯიბრების მოიქცევა, ფართოდ ასახონ მოწინავე კოლეტივების, წარმოების ნოვატორების, კომუნისტური შრომის დამკვრელების მუშაობის გამოცდილება.

განაგრძონ ცენტრალურ და ადგილობრივ გაზეთებში სპეციალური გვერდების გამოშვება, რომლებიც გააშუქებენ სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობასა და შედეგებს. რეგულარულად გადასცენ რადიო და ტელეპროგრამები „სოციალისტური შეჯიბრების დღიური".

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა, პოლიტგამმა, პროფგამმა, გამომცემლობებმა „პლაკატმა" და „მოლოდაია გვარდიამ", სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტმა გაითვალისწინონ ლიტერატურის, დოკუმენტური და მხატვრული ფილმების, თვალსაჩინო აგიტაციის საშუალებების გამოშვება, რომლებიც ღრმად გააშუქებენ თანამედროვე ეტაპზე სოციალისტური შეჯიბრების მიზნებს, შინაარსსა და თავისებურებებს, მოწინავეთა გამოცდილებას უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიური ამოცანების გადაწყვეტაში.

აქტიურად გამოიყენონ ეკონომიური განათლების სისტემა შეჯიბრების მონაწილეთა დახმარებისათვის ყოველ სამუშაო ადგილზე რეზერვების გამოვლენასა და შემხვედრი გეგმების ეკონომიურ დასაბუთებაში, მოწინავე გამოცდილების, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დაუფლებაში.

11. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ, საკავშირო პროფსაბჭომ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და სოციალური საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, სხვა სამინისტროებმა და უწყებებმა განახორციელონ სოციალისტური შეჯიბრების თეორიის შემდგომი დამუშავებისა და პრაქტიკის განზოგადების ღონისძიებანი, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ შეჯიბრების, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობის ქმედითობის ამაღლების კვლევისა და რეკომენდაციების ხარისხს.

12. სამინისტროებმა, უწყებებმა და პროფკავშირთა ცენტრალურმა კომიტეტებმა გადასინჯონ საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების პირობები დარგებში პარტიის XXV ყრილობის მიერ განსაზღვრული ეკონომიური და სოციალური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ამოცანების. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმით დასახული კონკრეტული დავალებების გათვალისწინებით და დაამტკიცონ ისინი საკავშირო პროფსაბჭოსთან და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და სოციალური საკითხთა სახელმწიფოთ კომიტეტთან შეთანხმებით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, საკავშირო პროფსაბჭო და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ მუშები და კოლმეურნეები, ინჟინერ-ტექნიკური და მეცნიერ მუშაკები, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების ყველა მშრომელი კიდევ უფრო ფართოდ გააჩაღებენ საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებას სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით — მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, ახალი შრომითი წარმატებებით შეხვდებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს, ღირსეულ წვლილს შეიტანენ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში.

9-10 იანვარი

„პრავდის" ფურცლებზე

სოფლის მეურნეობის აღმავლობა საყოველთაო-სახალხო საქმეა. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელები დახმარებას უწევნარეს ყოველისა სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებისაგან მოელიან. მათი მოვალეობაა უზრუნველყონ სოფლის შეკვეთების ზუსტი შესრულება, დროულად მიაწოდონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მანქანები, სათადარიგო ნაწილები, ნავთობპროდუქტები, მინერალური სასუქები, გაუძლიერონ საშეფო დახმარება სოფელს.

დასახული გეგმებისა და ვალდებულებების შესრულების წარმატებებს წყვეტს, — წერს გაზეთი კვირის მეთაურ წერილში („სოფლის მშრომელთა საბრძოლო ამოცანები") — ყოველდღიური ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა: კომუნისტები მოსავლისათვის და მეცხოველეობის აღმავლობისათვის ბრძოლის პირველ რიგებში უნდა იყონ.

გუშინდელი ნომრის მეთაური გაზეთმა კონტროლის ქმედითობას მიუძღვნა.

პარტიელთა მოვალეობაა პრინციპულად გაილაშქრონ კონსერვატიზმისა და უყაირათობის, ყოყოჩობის, ჯუთხურობის ყოველგვარი გამოვლინებისა და ვიწროუწყებრივი მიდგომის წინააღმდეგ, ნათქვამია მოწინავეში. ამას ხელს უწყობს საქმიანობის, დიდი ურთიერთმომთხოვნელობის ვითარება. ყოველნაირად უნდა წავახალისოთ და განვავითაროთ ადამიანთა ინიციატივა, სათუთად მოვეკიდოთ მათს წინადადებასა და კრიტიკულ შენიშვნებს, **რეგულარულად ვაცნობოთ, თუ როგორ სრულდება მიღებული გადაწყვეტილებები.**

კვირისავე ნომერში მკითხველის ყურადღებას მიიქცევს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ულიანოვსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ა. სკოჩალოვის წერილი— „ზემოქმედების ძალა", რომელიც გამოქვეყნებულია რუბრიკით — „პარტიული ცხოვრება:

პრესისადმი ხელმძღვანელობა". აქვეა გამოქვე

ფაქტები, პროგლემები
ქართველოს ამბები
საქართველოს ... ...

ანთიმოზ მიხეილის-ძე როგავა



რესპუბლიკის სოფლის მეურნეობამ მძიმე დანაკლისი განიცადა. 7 იანვარს 66 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა საკავშირო მეურნეობის მშენებლობის ნიჭიერი ორგანიზატორი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის ბიუროს წევრი, ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ანთიმოზ მიხეილის-ძე როგავა.

ა. როგავა დაიბადა 1910 წელს ზუგდიდის რაიონის სოფელ ორჯონიკიძის (მაშინდელი ყულისკარი) უბაშონის უბანში, ღარიბი გლეხის ოჯახში. მან 1931 წელს დაამთავრა ზუგდიდის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი და იმავე წელს მუშაობა დაიწყო ჩაისა და სუბტროპიკული კულტურათა საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ზუგდიდის ფილიალში აგროტექნიკოსად. ამავე დროს იგი შეთავსებით მუშაობდა სამანქანო-სატრაქტორო სარაინთაშორისო საშუშოების შესრულების ინსპექტორად და კომკავშირის უჯრედის მდივნად. აქ ა. როგავამ თავი გამოიჩინა როგორც კარგმა ორგანიზატორმა და დაწინაურებულ იქნა ზუგდიდის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის ინსტრუქტორად.

1933-1935 წლებში როგავა ჯერ მუშაობდა გორში, ხოლო შემდეგ ქუთაისში საბჭოთა მეურნეობის დირექტორის მოადგილედ. 1936 წელს კი იგი ბრუნდება ზუგდიდის რაიონში. აქ მას ირჩევენ ახალსოფლის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ.

ეს იყო წლები, როცა ახალსოფლის კოლმეურნეობა ერთ-ერთ ჩამორჩენილ მეურნეობად ითვლებოდა რაიონში. საჭირო იყო მომთხოვნი, პრინციპული, უნარიანი და საქმისმცოდნე კანდიდატურის შერჩევა ამ სოფლის წინამძღოლად. ახალსოფლელებმა თავიანთი არჩევანი ანთიმოზ მიხეილის-ძე როგავაზე შეაჩერეს. დაიწყო აღმავლობის წლები ახალსოფლელთა ცხოვრებაში. და ამ აღმავლობამ ზენიტს მიაღწია, როცა რიგით ორმოცდამეათე ახალსოფლელმა 1951 წელს მიიღო სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება. ანთიმოზ როგავამ შოოს გაუთქვა სახელი ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობას. დღეს ახალსოფელს დამსახურებულად უწოდებენ გმირთა სოფელს.

ა. როგავა წლების მანძილზე იმყოფებოდა საბჭოთა საშუშოზე. იყო ზუგდიდის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, კოლმეურნეობა „საქართველოს“ თავმჯდომარე, ხეცერის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

ანთიმოზ როგავას 1968 წლის თებერვალში კვლავ ირჩევენ ახალსოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. ზუგდიდის რაიონში საკოლმეურნეო მშენებლობის ერთ-ერთი თვალსაჩინო ორგანიზატორი, ღრმა აგრონომიული ცოდნისა და პრაქტიკული მუშაობის დიდი გამოცდილების მქონე ა. როგავა აქტიურ მონაწილეობას იღებდა სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომ განვითარებაში. მან სოფლის მეურნეობის ბევრი ნიჭიერი ორგანიზატორი აღზარდა.

ა. როგავა იყო პრინციპული, თავის თავისადმი და სხვის მიმართ მკაცრი მომთხოვნელობისა და ამავე დროს სამართლიანი, გულისხმიერი ადამიანი. ყოველივე ამან დამსახურებული ავტორიტეტი და ღრმა პატივისცემა მოუპოვა. აქტიურ მონაწილეობას იღებდა რაიონის პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იყო საქართველოს სსრ მესამე, მეოთხე და მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. მესამე და მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.

პარტიამ და მთავრობამ დიდად დააფასეს სოფლის მეურნეობის განვითარებას საქმეში ანთიმოზ მიხეილის-ძე როგავას მიერ გაწეული შრომა. 1948 წელს მას მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება, ხოლო 1951 წელს მან ეს მაღალი წოდება მეორედ მიიღო.

ანთიმოზ როგავა დაჯილდოებული იყო ლენინის 4 ორდენით, შრომის წითელი დროშის 3 ორდენით და ოქტომბრის რევოლუციის ორდენით. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების საფუძველზე მშობლიური ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ცენტრში ანთიმოზ მიხეილის-ძე როგავას სიცოცხლეშივე დაიდგა მისი ბიუსტი.

ანთიმოზ როგავას ხსოვნა, რომლის მთელი ცხოვრება სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საქმისადმი თავდადებული სამსახურის საუკეთესო ნიმუში იყო, სამუდამოდ დარჩება ყველა იმ ადამიანთა მეხსიერებაში, ვინც მას იცნობდა.

ა. ბ. ბილასვილი, ა. ნ. ინაური, შ. დ. კიკნაძე, ბ. ვ. კოლბინი, ა. ვ. მელნიკოვი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პაპარიძე, ჯ. ი. პაპიაშვილი, ვ. მ. სირაძე, ე. ა. შეგვარდნაძე. ზ. ა. ჩხეიძე, თ. ი. მოსაშვილი, ვ. კ. შარმავა, ო. ე. ჩერქეზია, ნ. ა. ჭითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი, მ. ხ. აბაშიძე, ი. ო. ანდრიაძე, ბ. ი. ბულია, ზ. ვ. ელდიაშვილი, ბ. ი. ბუნავა, ო. ბ. ბარძელაშვილი, თ. ა. თარაევა, ი. თ. თოდუა, რ. ა. ივარლავა, ვ. ვ. კაკაძე, ბ. რ. კვარაცხელია, ი. ი. კუბალია, ა. ა. კუბალია, ვ. ა. კოჩოიანი, ნ. ა. მამაიაშვილი, ვ. ბ. მეუნარგია, მ. ფ. ორაბველიძე, ი. ხ. ბარკილი, ბ. მ. ფიფია, ნ. ნ. ფიფია, თ. ა. ფუფუნია, თ. ხ. ჯღლაძე.

ფაქტები, პროგლემები
საქართველოს სსრ ... ...

ჯ. კარტერის პრეს-კონფერენცია

ვაშინგტონი, (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტად არჩეულმა ჯ. კარტერმა ქალაქ კლეინსში (ჯორჯიის შტატი) პრეს-კონფერენციაზე განაცხადა: იმედი მაქვს, რომ საბჭოთა კავშირთან მივაღწევთ მნიშვნელოვან პროგრესს სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შეთანხმების დადებაში, სანამ პირადად შეეხვდებოდე სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს. იმედგაცრუებული დავრჩებოდი, რომ ვერ მივაღწიოთ შეთანხმებას სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის მეორე ეტაპის შესახებ მოლაპარაკების თაობაზე. მაგრამ ეფიქრობ, რომ ყველა შემთხვევაში, უმჯობესია ლ. ი. ბრეჟნევს შემოდგომამდე შევხვდები.

ჯ. კარტერს მისცეს შეკითხვა: მიიღეთ თუ არა რუსებისაგან რაიმე ახალი სიგნალები ან თუ გაგრძნობინეს მაინც, როგორ წარმოუდგენიათ სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შეთანხმების პირობები?

პასუხი: ამ კითხვაზე ახლა ვერ გიპასუხებთ.

კითხვა: როგორც ჩანს, თქვენ ამჯობინებთ, არ იმსჯელოთ საბჭოთა კავშირისაგან მოსული ინფორმაციის შინაარსზე?

პასუხი: საბჭოთა კავშირმა და ჩვენმა ქვეყანამ ერთმანეთს ვაუგზავნეს მთელი რიგი წერილები, რაზეც მე უკვე ვილაპარაკე. ამიტომ აღარ დავიწყებ იმის დაზუსტებას, მოხდა თუ არა რაიმე ახალი. ჯერჯერობით არავითარი დიდი ძვრა არ არის სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის საკითხში და, რა თქმა უნდა, ამ ეტაპზე ჯერ კიდევ არ დაგვიწყია დეტალური განხილვა საბჭოთა კავშირთან ერთად.

წერილები, რომლებიც სსრ კავშირის ელჩმა ა. თ. დობრინინმა გადასცა ჰ. კისინჯერსა და ს. ვენსს, გამამხნევებელი იყო. ვფიქრობ, რომ ეს სწორედ ასეც უნდა ყოფილიყო. პრობლემები მაშინ წამოიჭრება ხოლმე, როცა საქმე საერთო ვალდებულებათა დეტალურ განხორციელებაზე მიდგება, სწორედ ამიტომ ჯერ ვერ გიპასუხებთ ამ კითხვაზე.

ჯ. კარტერმა განაცხადა, რომ 20 იანვარს პრეზიდენტის პოსტზე დადგომის შემდეგ დიალომატიური მიზნით იმოგზაურებს მთელ რიგ საზღვარგარეთის ქვეყნებში, რათა რაც შეიძლება მალე გაეცნოს ამერიკის შეერთებული შტატების უახლოესი მეგობრებისა და პოტენციური მოწინააღმდეგეების შეხედულებებსა და პოზიციებს. ახალი პრეზიდენტის პოსტზე დადგომის შემდეგ პირველ კვირაში ვიცე-პრეზიდენტი უ. მონდეილი გაემგზავრება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთში, ეწვევა ბრიუსელის ევროპის ეკონომიური გაერთიანების შტაბ-ბინას, აგრეთვე იაპონიას, სადაც ამ ქვეყნების ხელმძღვანელებთან ერთად განიხილავს „ზოგიერთი საერთო პრობლემას“.

როგორც ჯ. კარტერმა თქვა, ერთ-ერთი ასეთი პრობლემაა დასავლეთის წამყვან სახელმწიფოთა ხელმძღვანელების ეკონომიური თათბირის მოწყობა მაისის მეორე ნახევარში ან ივნისში, რათა განიხილონ ღონისძიებათა მჭიდრო კოორდინაციის საკითხი. გარდა ამისა, დასძინა მან, ამ საკითხებთან ერთად განვიხილავთ ნატოს მონაწილე ქვეყნების პოლიტიკის კოორდინაციის უფრო ეფექტიან საშუალებებსა და ნავთობის ფასების გადიდებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტის გზებს,

ვფიქრობ, რომ მოგვიანებით, ალბათ, წელს, „ზედა ფენებში“ ეკონომიური თათბირის ფარგლებში პირადად შევხვდები დასავლეთ ევროპის ქვეყნების ლიდერებს. მინდა ჩემი პრეზიდენტობის პირველ წელს მინიმუმამდე შევამცირო ვიზიტები, როგორც ეს წინათ აღვნიშნე. მაგრამ თუ წარმოიქმნება რაიმე გაუთვალისწინებელი პრობლემა ან რაიმე ხელშეშფყობი შესაძლებლობა, მაშინ მე, რა თქმა უნდა, როგორც გამონაკლისი, წავალ ვიზიტით, თუ ეს საჭირო იქნება.

პრეზიდენტი შეშფოთებულ გამოთქვამს

ვაშინგტონი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებს აშფოთებს ქვეყნის ენერგეტიკული მდგომარეობა, რომელიც სულ უფრო უარესდება. ეს შეშფოთება აისახა, კერძოდ, კონგრესისადმი პრეზიდენტ ჯ. ფორდის წერილში მთავრობის ენერგეტიკული პოლიტიკის შესახებ.

განლილ სამ წელიწადში, აღნიშნავს პრეზიდენტი, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ვერ მიაღწია ენერგეტიკის დარგში დასახულ მიზნებს. ქვეყნის ძირითადი პრობლემაა სულ უფრო მზარდი დამოკიდებულება შემოტანილ ნავთობზე. აგრეთვე ბუნებრივი გაზის ნაკლებობა მთელ რიგ რაიონებში. ეს ნაკლებობა კიდევ უფრო გამწვავდება ამ ზამთარში, თუ კლავაც უჩვეულოდ ცივი ამინდი დაიჭირა. გაზის მთავრების შემცირებას მოჰყვება დასაქმების შემცირება და ეკონომიური სიძნელეები.

წერილში აღნიშნულია, რომ ნავთობისა და ბუნებრივი გაზის მოპოვებამ ამერიკის შეერთებულ შტატებში უმაღლეს წერტილს მიაღწია 70-იანი წლების დამდეგს და მას შემდეგ განეხრილად მცირდება.

პრეზიდენტის თქმით, იმპორტის წილის გადიდებამ ამერიკის შეერთებული შტატების ნავთობის ბალანსში შექმნა ისეთი ვითარება, რომ ახლა ამერიკის შეერთებულ შტატებს ემბარგო მნიშვნელოვნად მეტ ზარალს მიაყენებდა, ვიდრე 1973-1974 წლებში, როცა დაკარგა 500 ათასამდე სამუშაო ადგილი და 20 მილიარდი დოლარის მთლიანი ეროვნული პროდუქტი. 1976 წელს შემოტანილი ნავთობი 34 მილიარდი დოლარი დაჯდა.

იყენებენ დაქირავებულებს

ნაირობი. სმიტის რასისტული რეჟიმი ფართოდ იყენებს დაქირავებულებს ზიმბაბვეს განმათავისუფლებელი ძალების წინააღმდეგ ხანმოკლელად, წერს აქაური გაზეთი „სანდი ნეიშნლი“. ახლა, ნათქვამია სტატიაში, როდესაც არმიაში ასობით დაქირავებული მკლელია, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, საფრანგეთში, კანადასა და დასავლეთის სხვა ქვეყნებში შეაგროვეს.

აფრიკის განმათავისუფლებელი ძალების წინააღმდეგ დაქირავებულთა გამოყენება სასაკეთოდ არასოდეს არ დამთავრებულა. სოლსბერის გამგებელს უნდა ახსოვდეთ ანგოლის გაკვეთილი და არ უნდა ებღაუჭებოდნენ ძალაუფლებას, რომელსაც სულ ერთია ვერ შეინარჩუნებენ.

ლიგანი

ჩაბარებენ მძიმე იარაღს

ბეირუთი, (საკდესი). აქ ლიბანის პრეზიდენტის ი. სარკისის თავმჯდომარეობით გაიმართა არაბული ქვეყნების ხელმძღვანელების ეკონომიური თათბირის მოწყობა მაისის მეორე ნახევარში ან ივნისში, რათა განიხილონ ღონისძიებათა მჭიდრო კოორდინაციის საკითხი. გარდა ამისა, დასძინა მან, ამ საკითხებთან ერთად განვიხილავთ ნატოს მონაწილე ქვეყნების პოლიტიკის კოორდინაციის უფრო ეფექტიან საშუალებებსა და ნავთობის ფასების გადიდებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტის გზებს,

ვფიქრობ, რომ მოგვიანებით, ალბათ, წელს, „ზედა ფენებში“ ეკონომიური თათბირის ფარგლებში პირადად შევხვდები დასავლეთ ევროპის ქვეყნების ლიდერებს. მინდა ჩემი პრეზიდენტობის პირველ წელს მინიმუმამდე შევამცირო ვიზიტები, როგორც ეს წინათ აღვნიშნე. მაგრამ თუ წარმოიქმნება რაიმე გაუთვალისწინებელი პრობლემა ან რაიმე ხელშეშფყობი შესაძლებლობა, მაშინ მე, რა თქმა უნდა, როგორც გამონაკლისი, წავალ ვიზიტით, თუ ეს საჭირო იქნება.

მიმდინარე 5 მაისამდე ლიბანის ტერიტორიაზე ჩაბარებულ ან ნაპოვნ ... ...

ДИДИ ОКТОМБРИС 60 წლისთავის შესახვედრად

მაღალი ეფექტიანობისა და ხარისხისათვის

რესპუბლიკის შრომითი კოლექტივების 1977 წლის სოციალისტური ვალდებულებანი

საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 3 ტრესტი

ტრესტის კოლექტივებმა მეათე ხუთწლედის პირველი წლის საბჭოთა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა 105,2 პროცენტით შეასრულეს. ამასთან ზრდის ტემპი წინა წელთან შედარებით 22,7 პროცენტს შეადგენს, ტრესტის მუშაკებმა, რომლებიც ალფრთოვანა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმის გადწყვეტილებებმა და ადილობენ ღირსეულად შეხვდნენ დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს, 1977 წლისათვის იკისრეს შემდეგი სოციალისტური ვალდებულებანი:

სამშენებელო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური გეგმა დაამთავრონ 25 დეკემბრისათვის და გეგმის გადაჭარბებით შესრულონ 200 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. სამრეწველო პროდუქციის გეგმა შეასრულონ ორი პროცენტის გადაჭარბებით. დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ზეიმის დღისათვის საექსპლოატაციოდ გადასცეს: 10 ათასი კვადრატული მეტრი ფართობის საცხოვრებელი სახლები წლიური გეგმით გათვალისწინებული 5.858 კვადრატული მეტრის ნაცვლად, სძროხვები 1800 სულისათვის, კარტოფილსაცავი ორი ათასი ტონისათვის, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები 3.280 მოსწავლისათვის წლიური გეგმით გათვალისწინებული 1.680 მოსწავლის ნაცვლად — 20 აგიტსოსათვის. სახბორეები 1.596 სულისათვის — 1 დეკემბრისათვის, საფოფინეები 200 ნაზვისათვის — 1 დეკემბრისათვის, მარცვლეულის 3.800 ტონისათვის — 1 ივლისისათვის.

საექსპლოატაციოდ გადასაცემი ობიექტების სულ ცოტა 90 პროცენტი ჩაბარონ „კარგი“ და „ფრიადი“ შეფასებით.

გაუმჯობესონ ავტოტრანსპორტის გამოყენება. ცენტრალიზებული გადაზიდვა 52 პროცენტამდე გაზარდონ. ორი პროცენტით ამამაღლონ ავტომპარკის გამოყენების კოეფიციენტი, 4.200 კილომეტრით გაზარდონ ავტოსამფრავების ბინძელადი გარბენი და უზრუნველყონ ორი პროცენტით საწვავ-საპოხი მასალების ეკონომია;

შრომის ნაყოფიერების ზრდის დაჩქარება გადაიდონ 0,3 პროცენტით, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების თვითღირებულება კი შეამცირონ 0,3 პროცენტით გეგმასთან შედარებით, 25 პროცენტით ამამაღლონ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მექანიზაციის დონე.

ნ. ზლობინის მეთოდით მომუშავე ბრიგადების რიცხვი გაზარდონ 33-მდე, ამ ბრიგადებით შეასრულონ ხუთი მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, აქედან საბინაო მშენებლობის ხაზით 1,84 მილიონის მანეთისა და სასოფლო-სამეურნეო მშენებლობის ხაზით—3,16 მილიონი მანეთისა. შუდმიმოქმედი სამშენებლო მატარებელი, რომელიც სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს ასრულებს ქვაყნის არაშავნიადიანან ზონაში — ქალაქ ვოლოგდაში, მთლიანად გადაიყვანონ ბრიგადული იჯარით მუშაობაზე;

შარშანდელთან შედარებით 10 პროცენტით გაზარდონ მონაწილე მუშათა შრომის ანაზღაურება აკორდული და აკორდულ-პრემიული სისტემით. უზრუნველყონ მშენებელთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესება: დანერგონ ულტრაგრძელი ტალღოვანი მალალნაყოფიერი მუშაობის გამოცდილება, რომელსაც იყენებს სოციალისტური შრომის გმირის ა. დ. ბასოვის კომუნისტური შრომის ბრიგადა.

განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ახალი ტექნიკის დანერგვას, 4,9 მილიონ მანეთამდე გაზარდონ მთლიანასაწყობი მშენებლობის მოცულობა, აქედან სასოფლო-სამეურნეო საწარმოო მშენებლობაში — 3,4 მილიონ მანეთამდე; შემსებუქებული კონსტრუქციებით (ეფექტიანი რენბატონისა და მსუბუქი ბეტონის, წებოს, აზბესტცემენტისა და სხვ.) სასოფლო-სამეურნეო საწარმოო შენობების მშენებლობა გადიდონ 23 ათასი კვადრატულ მეტრამდე. შენობები და ნაგებობები მოაპირკეთონ სრული საჭირხნო მზობის ფილებით 16 ათას კვადრატულ მეტრზე;

რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის შედეგად მიიღონ 500 ათასი მანეთი წლიური ეკონომია, საშენი მასალების ტრანსპორტირების, დასაწყობების, დაცვა-შენახვის გაუმჯობესებისა და რაციონალური ხარჯვის გზით დაზოგონ 225 ტონა ცემენტი, 955 კუბური მეტრი ხე-ტყის მასალა, 40 ტონა ლითონი; ამავალონ 100 მუშის, 20 მოსამსახურის, 10 ინჟინერ-ტექნიკური მუშაკის კვალიფიკაცია, მომამზადონ 160 ახალი მუშა;

საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 5 ტრესტი

ტრესტის კოლექტივებმა 1976 წლის საიჯარო სამუშაოთა გეგმა შეასრულეს 1976 წლის 21 დეკემბრისათვის. გეგმის გადაჭარბებით შესრულეს 255,2 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. მეათე ხუთწლედის პირველ წელს ააშენეს და საექსპლოატაციოდ გადასცეს სასწავლო წლის დამდეგისათვის 1572 სასწავლო ადგილიანი სკოლები 900 ადგილიანი სკოლების ნაცვლად, საბავშვო ბაღა-ბაღები 175 ბავშვისათვის, 11.014 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი გეგმით გათვალისწინებული 10.327 კვადრატული მეტრის ნაცვლად, დღე-ღამეში 90 ტონა ჩაის ფოთლის გადამუშავების სიმძლავრის ჩაის ფაბრიკა. მეცხოველეობის კომპლექსი 600 სულისათვის, 100-საწოლიანი საავადმყოფო და სხვ. სულ საექსპლოატაციოდ გადაცემული 51 ობიექტი გეგმით გათვალისწინებული 33 ობიექტის ნაცვლად.

ტრესტის კოლექტივმა, რომელიც ჩაება საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მეათე ხუთწლედის ამოცანების ადამდე შესრულებისათვის, 1977 წლისათვის იკისრა შემდეგი ვალდებულებანი: დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ზეიმის დღისათვის საექსპლოატაციოდ გადასცეს წლიური გეგმით გათვალისწინებული ყველა საცხოვრებელი სახლი, სკოლები, ბავშვთა დაწესებულებანი [illegible] მეცხოველეობის სადგომები: [illegible] სამუშაოთა წლიური გეგმა შეასრულოს 15 დეკემბრ[illegible] განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს წარმოებაში ეფექტიანობასა და ხარისხს. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვას, შრომის ნაყოფიერების ზრდას;

მიაღწიოს, რომ კოლტუფრულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების სულ ცოტა 80 პროცენტი საექსპლოატაციოდ გადასცეს „ფრიადი“ და „კარგი“ შეფასებით;

სკოლების საექსპლოატაციოდ გადაცემა დაამთავროს სასწავლო წლის დამდეგისათვის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტსაცავი ობიექტებისა — მოსავლის აღების სეზონისათვის; გეგმის გადაჭარბებით ააშენოს ხუთი სენაჟსაცავი;

1976 წელთან შედარებით 10 პროცენტით გაზარდოს მუშაკთა შრომის ანაზღაურების აკორდულ-პრემიული სისტემის დანერგვა; ნ. ზლობინის მეთოდით მომუშავე ბრიგადების რიცხვი გაზარდოს 20-მდე და ამ ბრიგადებით შეასრულოს 3,2 მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები.

ფოფოლა — 0,5 პროცენტი, ხე-ტყის მასალები — 0,6 პროცენტი; დაზოგოს 1,5 ათასი მანეთი ელფასის ფონდიდან. ახალი ტექნიკისა და რაციონალიზატორული ზრდადების დანერგვის გზით [illegible] სამუშაოების თვითღირებულება. გეგმასთან შეა[illegible]

[illegible] ავტოტრანსპორტის გამოყენება, ცენტრალიზებული ტერიტორიზდვის მოცულობა გაზარდოს 60 პროცენტამდე, პარკის გამოყენების კოეფიციენტი გაადიდოს ორი პროცენტით, ავტოსამფრავების პირველადი გარბენი გადიდოს 2 ათასი კილომეტრით, დადგენილ ნორმასთან შედარებით ორი პროცენტით შეამციროს საწვავ-საპოხე მასალების ხარჯვა; მიაღწიოს სამშენებლო მექანიზმების სრული დატვირთვით მუშაობას და მინიმუმამდე შეამციროს მათი მოცდენები: ჩაებას სოციალისტურ შეჯიბრებაში ფიფიანი „არც ერთი ჩაშლილი და უდისციპლინო — ჩვენ გვერდით“; მინიმუმამდე შეამციროს ავარიების დენადობა მუშაკთა საწარმოო, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების გზით.

განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ადრეული ეკონომიური მომზადების გაუმჯობესებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას, წარმოებას მოუწყვეტლივ ამაღლებინოს კვალიფიკაცია 160 მუშისა და 25 ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკისა და მოსამსახურეს. (საქინფორმი).

რეზერვები — მოქმედებაში!

პარტიის მოწოდებას საქართველოს მშრომელები შრომით უპასუხებენ

იქნება 4.500 ტონა ჩაის ფოთოლი

ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივში ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის წერილმა სოფლის მშრომელებისადმი. ოჩხამურელებმა ტრადიციად დაამკვიდრეს შრომითი წარმატებებით აღნიშნონ ხოლმე ხუთწლედის ყოველი წელი. შარშან ჩვენმა მეჩაიეებმა გეგმაზე 1.000 ტონით მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს. სულ საბელმწიფოს მიეყიდეთ 4.623 ტონა ჩაის ფოთოლი. ჰექტარზე საშუალოდ მიეღეთ 9.782 კილოგრამი. ეს, ეფექტობთ, რეკორდული მოსავალია. მ. ენგენოძის აგროგანყოფილებაში კი ჰექტარზე 11.823 კილოგრამი მიიღეს. თ. ილიჩიანმა ხელით 10 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფა, მ. ბაბუშიანმა ხელის საკრეფი მანქანით — 26 ტონა. ასეთი ნოვატორები ჩვენთან ბევრია.

ადრევე შეუდექით მზადებას ხუთწლედის მეორე წლის ეხი მოსავლის მისაღებად. პლანტაციებში შეგვაქვს სასუქი, მზად არის ტექნიკა. მალე დავიწყებთ ბუჩქების გასხვლას. წლეულს ოჩხამურელები სახელმწიფოს 4.500 ტონაზე მეტ მაღალხარისხოვან ჩაის ფოთოლს მიპყიდიან. ეს იქნება ჩვენი პატაკი ოქტომბრის მე-60 წლისთავისათვის.

თ. ცეცხლაძე,

ჭობულეთის რაიონის ი. ბ. სტალინის სახელობის ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

ᲛᲔᲓᲘᲓᲐᲠᲘ ᲙᲕᲔᲥᲢᲐᲠᲔᲑᲘ

თელავის რაიონის სანიორის კოლმეურნეობის მიწინგზე

თელავი. (საკ. კორ.). რაიონის მშრომელები დიდი მოწონებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წერილს სოფლის მშრომელებისადმი. საზოგადოებრივ მეურნეობებში მოეწყო წერილის ჯგუფური კითხვა და აზრთა ურთიერთგაზიარება. მთელ რიგ მეურნეობებში გაიმართა მიტინგები.

ხალხმრავალი იყო მიტინგი სანიორის კოლმეურნეობა „მეგობრობაში“, სადაც გულდასმით განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ორმაშინაარსიანი წერილი. მიტინგზე გამოსულებმა ილაპარაკეს გაზაფხულასათვის ტექნიკის მომზადების, მანქანების მაღალხარისხოვნად შეკეთების, თესვისათვის მზადების და სხვა საკითხებზე.

— შარშანაც გადაჭარბებით შეგასრულეთ მარცვლეულის წარმოებისა და სახელმწიფოსთვის მიყიდვის გეგმა-ვალდებულება. მართო სიმინდი ჰექტარზე 40 ცენტნერი მივიღეთ, — თქვა კოლმეურნეობის მექანიზატორმა შ. რახმაძემ, — მაგრამ ახლა ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ წლეულს მოსავლიანობა ჰექტარზე 20-25 პროცენტით გავადიდოთ.

— კოლმეურნეობაში მთავარი მევენახეობაა, — თქვა თავის გამოსვლაში სოციალისტური შრომის გმირმა, მევენახე გიორგი შაეაძემ, — შემოდგომა-ზამთრის სამუშაოები მაღალხარისხოვნად და დროზე შევასრულეთ, მალე დავამთავრებთ მანქანების შეკეთებას. იმისათვის ვიბრძვით, რომ არა მართო წლეულდელი გეგმა შევასრულოთ, არამედ ყურძნის მოსავლის შარშანდელი დანაკლისიც დავფაროთ.

მიტინგები გაიმართა აგრეთვე იყალთოში, რუისპირში და სხვა სოფლებში. მშრომელები ერთსულოვნად იწონებენ მშობლიური პარტიის წერილს და ოქტომბრის მე-60 წლისთავისათვის გადიდებულ ვალდებულებებს კისრულობენ.

ა. თვალიაშვილი.

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲙᲐᲠᲒᲘ ᲬᲐᲛᲝᲬᲧᲔᲑᲐ

ცაგერი. (საკ. კორ.). ტყვიშის საშუალო სკოლაში კარგ წამოწყებას დაედო სათავე. შეფობა-დახმარების მიზნით აქ მოვიდნენ ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორმასწავლებლები და ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები. პიონერმოსწავლეებისა და უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენელთა შესვედრა საინტერესოდ წარიმართა. საზეიმო ცერემონიალის შემდეგ ორივე მხარემ ხელი მოაწერა საშეფო ხელშეკრულებას.

ინსტიტუტის ლექტორ-მასწავლებლებმა იკისრეს სასკოლო ცხოვრებაზე წაიკითხონ პოპულარული ლექციამოსხენებები, მოაწყონ მოსწავლეთა ექსკურსიები ინსტიტუტის კაბინეტ-ლაბორატორიებში. სასწავლი ჩაატარებენ დამატებით გაკვეთილებს, რომელიც დიდ დახმარებას გაუწევენ აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებს. მოსწავლეთა პროფორიენტაციის მიზნით მოაწყობენ საუბრებს, ღია კარის დღეს და სხვა მასობრივ ღონისძიებებს.

სკოლა-ინსტიტუტის ასეთი საშეფო ურთიერთობა რაიონში პირველია და მას სხვებმაც უნდა მიბაძონ.

ვ. ცირკაიძე.

მოსკოვში, გამოფენაზე

ᲤᲔᲚᲘ, თებერვლის პირველ ნახევარში მოსკოვის ცენტრალურ საგამოფენო დარბაზში გაიხსნება საბჭოთა კავშირის სამხატვრო უმაღლეს სასწავლებლებში სახელთა და გამოყენებით ხელოვნებაში დაცული საუკეთესო საიუბილეო შრომების გამოფენა (50 წლის მანძილზე).

თბილისის სამხატვრო აკადემიის დიდმა საბჭომ რექტორის, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ა. ფოფუტურ გ. ოთოიბაძის თავმჯდომარეობით შეარჩია ფერწერის, ქანდაკების, გრაფიკის და გამოყენებითის დარგებში დაცული 100-მდე საიუბილეო ნაშრომი. მათ შორის ისინიც, რომლებსაც საკავშირო და მსოფლიოს სამხატვრო გამოფენებზე ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს მედლები და წარჩინების დიპლომები აქვთ მიღებული.

ხ. ნაციაშვილი,

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

ᲡᲙᲝᲚᲘᲓᲐᲜ — ᲤᲔᲠᲛᲐᲨᲘ

ᲛᲐᲡᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲡ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲘ — ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲔᲚᲡ!

ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘ — ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ

ᲞᲐᲠᲢᲝᲛ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲡ 11 ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲘᲡ ᲨᲣᲨᲕᲔᲑᲘᲗ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲖᲘᲡ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐᲨᲘ

□

მზა პროდუქციის საამქროში ეს-ეს არის შეფუთეს ახალი წლის პროდუქციის — გაჭკურების პირველი პარტია. მას თბილისელი მომხმარებლები მიიღებენ. იგი თბილისის „გაზაპარატის“ ქარხნის ძირითადი პროდუქციაა და მასზე მოთხოვნილება დღითიდღე იზრდება. ეს გასაგებიც არის, გაზქურა ხომ ფართო მოხმარების ნაწარმია, ამასთან თბილისელთა ნახელავი ყოველთვის საუკეთესო ხარისხისაა და მსოფლიოს სტანდარტებს უტოლდება.

მაგრამ თბილისის „გაზაპარატის“ ქარხანაში მარტო გაზქურებს როდი ამზადებენ. ქარხნის კოლექტივმა სკკპ XXV ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადწყვეტილებების შესრულებისათვის დასახულ გეგმაში ფართო მოხმარების ნივთებიც შეიტანა. ეს კარგად იცოდნენ საწარმოს ადმინისტრაციის, ტექნიკოსებმა და მომუშავეებმა, ამიტომ ჩვენი ინჟინერები, ტექნიკოსები და მუშაკები ეცნობიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას „1976-1980 წლებში მასობრივი მოთხოვნის საქონლის წარმოების განვითარებისა და ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, ყველა უბანზე აქტიურობენ სახალხო კონტროლიორები, რომ რაც შეიძლება შემცირდეს წუნი...

— პარტიისა და მთავრობის დადგენილება დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს, — ამბობს დამტკიცებული უბნის ოსტატი ი. ორაგამაშელი, — ამიტომ ჩვენი უბნის საწარმოო ბაზაზე განსაკუთრებით ზრუნავს ქარხნის ადმინისტრაცია და საბუნებით სამართლიანადაც გვთხოვს, რომ ხარისხი საუკეთესო იყოს.

მომმინანჭრელი უბანი ახლახან ახალი კონვეიერული ღუმელით შეიესო, გაარძელდა აგრეთვე ამწყობი და შემფუთავი ხაზიც, რამაც საწარმოს კოლექტივს საშუალება მისცა სამი სახის თეფშეული წლეულს ხარისხის ნიშნაზე წარადგინოს.

ამ დეიზით განსაკუთრებული ენთუზიაზმი იჩრძნობა საწარმოს საამქროებში. ზინინლები და მომმინანჭრელები, მექანიკოსები და შემფუთავები ეცნობიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას „1976-1980 წლებში მასობრივი მოთხოვნის საქონლის წარმოების განვითარებისა და ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, ყველა უბანზე აქტიურობენ სახალხო კონტროლიორები, რომ რაც შეიძლება შემცირდეს წუნი...

— პარტიისა და მთავრობის დადგენილება დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს, — ამბობს დამტკიცებული უბნის ოსტატი ო. ჩიხრაძე, — პროდუქციის რაოდენობრივ ზრდასთან ერთად, რადაც ბალანსებულ ფონდიდან. ახალი ტექნიკისა და რაციონალიზატორული ზრდადების დანერგვის გზით [illegible] სამუშაოების თვითღირებულება. გეგმასთან შეა[illegible]

[illegible] ავტოტრანსპორტის გამოყენება, ცენტრალიზებული ტერიტორიზდვის მოცულობა გაზარდოს 60 პროცენტამდე, პარკის გამოყენების კოეფიციენტი გაადიდოს ორი პროცენტით, ავტოსამფრავების პირველადი გარბენი გადიდოს 2 ათასი კილომეტრით, დადგენილ ნორმასთან შედარებით ორი პროცენტით შეამციროს საწვავ-საპოხე მასალების ხარჯვა; მიაღწიოს სამშენებლო მექანიზმების სრული დატვირთვით მუშაობას და მინიმუმამდე შეამციროს მათი მოცდენები: ჩაებას სოციალისტურ შეჯიბრებაში ფიფიანი „არც ერთი ჩაშლილი და უდისციპლინო — ჩვენ გვერდით“; მინიმუმამდე შეამციროს ავარიების დენადობა მუშაკთა საწარმოო, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების გზით.

განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ადრეული ეკონომიური მომზადების გაუმჯობესებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას, წარმოებას მოუწყვეტლივ ამაღლებინოს კვალიფიკაცია 160 მუშისა და 25 ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკსა და მოსამსახურეს. (საქინფორმი).

ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ

ᲙᲐᲠᲒᲘ ᲬᲐᲛᲝᲬᲧᲔᲑᲐ

ᲪᲐᲒᲔᲠᲘ. (ᲡᲐᲙ. ᲙᲝᲠ.). ტყვიშის საშუალო სკოლაში კარგ წამოწყებას დაედო სათავე. შეფობა-დახმარების მიზნით აქ მოვიდნენ ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორმასწავლებლები და ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები. პიონერმოსწავლეებისა და უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენელთა შესვედრა საინტერესოდ წარიმართა. საზეიმო ცერემონიალის შემდეგ ორივე მხარემ ხელი მოაწერა საშეფო ხელშეკრულებას.

ინსტიტუტის ლექტორ-მასწავლებლებმა იკისრეს სასკოლო ცხოვრებაზე წაიკითხონ პოპულარული ლექციამოსხენებები, მოაწყონ მოსწავლეთა ექსკურსიები ინსტიტუტის კაბინეტ-ლაბორატორიებში. სასწავლი ჩაატარებენ დამატებით გაკვეთილებს, რომელიც დიდ დახმარებას გაუწევენ აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებს. მოსწავლეთა პროფორიენტაციის მიზნით მოაწყობენ საუბრებს, ღია კარის დღეს და სხვა მასობრივ ღონისძიებებს.

სკოლა-ინსტიტუტის ასეთი საშეფო ურთიერთობა რაიონში პირველია და მას სხვებმაც უნდა მიბაძონ.

ვ. ცირკაიძე.

„ᲙᲝᲛᲔᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲮᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

ᲡᲐᲨᲝᲕᲐᲠᲒᲔ

რედაქციას უპასუხებენ პარტიის ზუგდიდის და სოხუმის რაიკომები

„ᲙᲝᲛᲔᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ დაბეჭდილ კრიტიკულ წერილებში „საშოვარზე“ და „ოილი გამდიდრების მოტრფიალენი“ მხილებულ იყვნენ ზუგდიდისა და სოხუმის რაიონებიდან სოფლის მეურნეობის პროდუქტების რეპუბლიკის ფარგლებს გარეთ სარეალიზაციოდ გამტანნი და მათი ხელის შემწყობნი.

გაზეთის კრიტიკული გამოსვლის გამო პარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი **ი. თოდუა** და პარტიის სოხუმის რაიკომის მდივანი **ა. გვარამია** გვატყობინებენ.

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ ᲠᲐᲘᲙᲝᲛᲘ: რაიკომის ბიუროომ სპეციალურად იმსჯელა გაზეთში მხილებულ და აგრეთვე სხვა ამგვარ ფაქტებზე. ბიუროომ კომუნისტი გ. ქვარცხავა, რომელსაც სასპეკულაციოდ რეპუბლიკის გარეთ 1.365 კილოგრამი თხილი მიჰქონდა, გარიცხა პარტიის რიგებიდან. ამასთან სახეპეკულაციოდ პროდუქტების გატანის აღსაკვეთად სათანადო ზომების მიუღებლობისათვის შამგონის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს გ. ფიფიას გამოუცხადა სასტიკი საყვედური, კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეს შ. წოწერიას საყვედური, ხოლო კოლმეურნეობას პარტიული ორგანიზაციის მდივანს შ. შენგელიას სასტიკი საყვედური.

შამგონის სასოფლო საბჭოს აღმასკომს რჩევა მიეცა სესიაზე განიხილოს სასოფლო საბჭოს დეპუტატების ღურწკაიას, როსტომაიას, ქვარცხავას ვადამდე გამოწვევის საკითხი. კოლმეურნეობის კრების დადგენილებით შ. ფიფიას ერთი წლით ჩამოერთვა საკარმიდამოდან 1000 კვადრატული მეტრი ფართობი. საჭირო ღონისძიებები განხორციელდა ყველა იმათ მიმართ, ვინც, ცდილობდა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ პროდუქტების გატანას. ხეცერის საბჭოთა მეურნეობის დირექციის ცნობით ბრიგადირი გ. ბეჭვაია სამუშაოდან მოხსნილია. ამასთან ბიუროომ ცნობად მიიღო ის, რომ სოფელ კახათის კოლმეურნეობის პარტიულმა ორგანიზაციამ პარტიის წევრს ი. ეკონიას სასტიკი საყვედური გამოუცხადა.

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲡᲝᲮᲣᲛᲘᲡ ᲠᲐᲘᲙᲝᲛᲘ: რაიკომის ბიუროომ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ წერილში მოყვანილი **ᲨᲐᲥᲒᲔᲑᲘ ᲡᲬᲝᲠᲐᲓ ᲪᲜᲝ.** ბიუროომ მკაცრი პარტიული სასჯელები დაადო ბესლეთის, ეშერის და თავისუფლების სასოფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს რ. გაგუას, ნ. ტორჩუას, რ. პოღოსიანს. გაფრთხილებულ იქნენ მარათაშვილის სახელობის კოლმეურნეობის და რაიპოლიკლინიკის ხელმძღვანელები ვ. ბერიძე და ნ. ჯახუა.

ბიუროომ მხედველობაში მიიღო ის, რომ სამუშაოდან განთავისუფლებულია ეკონომისტი ს. სკვორცოვი. ბარათაშვილის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის რეკომენდაციით საერთო კრება განიხილავს ტ. შამუგიასთვის საკარმიდამო მიწის ნაკვეთის ჩამორთმევის საკითხს. ასევე რჩევა მიეცა კოლმეურნეობებს „აბეკავის“ და „ახალი ცხოვრების“ საერთო კრებებს განიხილონ ტ. ბერულავასა და ა. ოდობაშიანის მეურნეობიდან გარიცხვისა და მათთვის საკარმიდამო ნაკვეთების ჩამორთმევის საკითხი.

ᲚᲘᲐᲜᲐ ᲒᲝᲩᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ შარშან დაამთავრა ქარელის პირველი საშუალო სკოლა და კოლმეურნეობაში წავიდა სამუშაოდ. ქარელის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზაციის ბრიგადაში ერთ წელზე მეტხანს იმუშავა. შემდეგ კი, როცა მეცხოველეობის ფერმაში კომკავშირულ-ახალგაზრდული რგოლი ჩამოყალიბდა, იქ გაგზავნეს შრომა.

ამჟამად ლიანა 16 ძროხს უვლის და თავისი წელილი შეაქვს კოლმეურნეობის წარმატებებში. წლეულს 517 ტონის ნაცვლად ფერმის მწველავებს გადაწყვეტილი აქვთ 520 ტონაზე მეტი რძე ჩაბარონ სახელმწიფოს. წელს ახალგაზრდა მწველავი კომუნისტური პარტიის წევრობის კანდიდატად მიიღეს. შემდეგ კი უმაღლეს სასწავლებელშიც გაგზავნეს სწავლას.

ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ: მოწინავე მწველავი ლიანა გოჩაშვილი.

Გ. ᲑᲔᲜᲔᲜᲘᲣᲠᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲕᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘᲗ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲨᲘ“ ᲓᲐᲑᲔ᭠ᲭᲓᲘᲚᲘ

ᲣᲗᲐᲕᲒᲝᲚᲝᲓ ᲒᲐᲭᲘᲐᲜᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ

ᲓᲐᲑᲐ ᲨᲝᲠᲐᲞᲐᲜᲨᲘ, ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲫᲘᲠᲘᲗᲣᲚᲘ ᲮᲣᲗᲘᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲨᲝᲠᲐᲞᲐᲜᲘᲡ ᲔᲚᲔᲛᲔᲜᲢᲗᲐ ᲡᲐᲮᲚᲘ, ᲛᲐᲡᲨᲘ ᲪᲘᲪᲝᲪᲚᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲣᲡᲕᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲔᲚᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲜᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ

□

ᲨᲝᲠᲐᲞᲐᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲛᲘᲗᲝᲕᲘᲡᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲗᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ. ᲛᲐᲡ ᲨᲘᲜ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲔᲜ. ᲘᲒᲝ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲮᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ. ᲛᲐᲡ ᲨᲘᲜ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲗᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ. ᲛᲐᲡ ᲨᲘᲜ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲗᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ.

ᲐᲡᲘᲠᲔ ᲛᲝᲮᲓᲐ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪᲐᲛᲔᲠᲘᲡᲐᲪᲐᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡᲐ ᲛᲘᲡᲘᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲛᲬᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲮᲚᲐᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲘ. ᲛᲐᲡᲨᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲜᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪᲐᲛᲔᲠᲘᲡᲐᲪᲐᲠᲘᲡ

საქართველოს ქუთა-ბაკი

იყალთოელთა კარგი მაგალითი

თელავი. (ხაკ. კორ.). იყალთოს შ. რუსთაველის სახელობის კულტურის სახალხო უნივერსიტეტმა მორიგი მეცადინეობა მოაწყო თემაზე „შრომა და დასვენება“.

სახალხო უნივერსიტეტის 60 მსმენელი დასვენების დღეს თბილისს გაემგზავრა. მათ დაათვალიერეს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა, გამარჯვების პარკში ინახულეს უცნობი ჯარისკაცის საფლავი და ცოცხალი ყვავილების თაიგულებით შეამკეს იგი.

იყალთოელები ეწვივნენ სსრ კავშირის სახალხო მხატვარს ლადო გუდიაშვილს და მიეულოცეს სამშობლოს უმაღლესი ჯილდო — სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭება. მხცოვანი მხატვარი სახალხო უნივერსიტეტის მსმენელებს ესაუბრა საბჭოთა მხატვრობის განვითარება-აყვავებაზე, და დაათვალიერებინა თავისი ნამუშევრები.

მგზავრთა სასიკეთოდ

ტყიბული. (ხაკ. კორ). სულ უფრო უმჯობესდება ავტოტრანსპორტით მგზავრთა დროული და შეუფერხებელი გადაყვანა. ქალაქის ავტოსადგურიდან ახლა ყოველდღიურად 24 მიმართულებით გადის ავტობუსები, რომლებიც ისზე მეტ რეისს აკეთებენ. რეგულარული საავტომობილო მიმოსვლა დამყარებულია თბილისთან, ბათუმთან, ქუთაისთან, ტყვარჩელთან და რესპუბლიკის სხვა ქალაქებთან. ავტობუსის 18 მარშრუტი სოფლის მოსახლეობას ემსახურება.

ამ უკანასკნელ წლებში მგზავრთა მომსახურების საქმეში ბევრი საახლე დაინერგა. დაწესდა ახალი მარშრუტი ტყიბული-ბუეთი, მოხდა ავტოსადგურის რადიოფიკაცია, მგზავრთა მოსაცდელ დარბაზში დაიდგა ტელევიზორი. აქაურმა ავტოტრანსპორტელებმა შარშან 400 ათასზე მეტი მგზავრი გადაიყვანეს და წლიური დაგალება დიდი გადაჭარბებით შეასრულეს.

ქუთაისის ახალმოსახლეობა

ასობით ქუთაისელმა მშრომელმა იზეიმა ახალმოსახლეობა მეათე ხუთწლედის პირველ წელიწადს. მშრომელთა ბევრ ოჯახს ეს ბედნიერება ახალი წლის სადღესასწაულო დღეებში ეწვია. მშენებლებმა შარშან 62 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი გადასცეს საექსპლოატაციოდ.

ვალდებულების შესრულებისათვის თავდადებით იბრძოდა ქალაქის მთავარი სამშენებლო ორგანიზაცია — სახლსამშენებლო კომბინატი (დირექტორი რ. ბეუუაშვილი), რომელმაც ათასობით კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი ჩაბარა ქალაქის მოსახლეობას.

აღსანიშნავია, რომ ქუთაისელმა მშენებლებმა საგრძნობლად გაუუმჯობესეს მშენებლობის ხარისხი, სახლების უმეტესობა სახელმწიფო კომისიამ „კარგი“ შეფასებით მიიღო.

ბუხაიძის ქუჩაზე მდებარე ცხრასართულიან სახლებში შესახლდნენ საავეჯო ფაბრიკის მოწინავე მშრომლები. კიდევ ერთმა ცხრასართულიანმა სახლმა დაამშვენა ავტოქარხნის დასახლება, ანუ საავტომობილო ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა ქალაქი, როგორც მას უწოდებენ; ქალაქის სამრეწველო საწარმოთა და ორგანიზაციათა მოწინავე მშრომელებს გაუღო კარი მაისურაძის ქუჩაზე № 4 მიკრორაიონში აგებულმა ხუთმა 9-სართულიანმა საცხოვრებელმა სახლმა.

ქუთაისელი მშენებლები ვალში არ დარჩნენ მშრომელთა წინაშე, მათ სახელმწიფო გეგმის გადამეტებით 7 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი გადასცეს ქალაქის მოსახლეობას.

ბედნიერ ახალმოსახლეობას გისურვებთ, მეგობრებო, მშვიდობიანი მოიხმარეთ მეათე ხუთწლედის პირველი წლის ეს დიდი საჩუქარი.

* * *

სურათზე: ქუთაისი. ახალი საცხოვრებელი სახლი რუსთაველის პროსპექტზე.

ო. ბერეჩიკიძის ფოტო.

ᲤᲘᲖᲣᲠᲣᲚᲘ ᲡᲠᲘᲐᲚᲘ

წინ ჰელსინკი და ტოკიო

ვილნიუსის „უნივერსალის“ სპორტის სასახლეში კვირას დამთავრდა სსრ კავშირის 41-ე ჩემპიონატი ფიგურულ სრიალში.

კვლავ საუკეთესოდ იასპარეზა ევროპის ექს-ჩემპიონმა ვლადიმერ კოვალიოვმა (მწვრთნელი — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ელენე ჩაიკოვსკაია). იგი ერთნაირად ძლიერად გამოვიდა როგორც სავალდებულო, ისე ნებისმიერი პროგრამით და 192,14 ქულით ჩემპიონობა მოიპოვა.

მეორე ადგილზეა ლენინგრადელი იური ოვჩინნიკოვი — 189,16, მესამეზე — მსოფლიოს ექს-ჩემპიონი სერგეი ვოლკოვი (მოსკოვის ოლქი) — 189,10 ქულა.

კარგად გამოვიდნენ საკავშირო ჩემპიონატზე ახალგაზრდა მოციგურავენი—ლენინგრადელი იგორ ბობრინი, მოსკოველი კონსტანტინე კოკორა და კიეველი გიორგი სტარკოვი. ისინი შესაბამისად მეოთხე-მეექვსე ადგილებზე არიან.

სპორტულ ცეკვებში ოქროს მედლები მოიპოვეს მოსკოველებმა ირინე მოისეევამ და ანდრეი მინენკოვმა — 211,98 ქულა. მეორე შედეგი აქვთ ნ. ლინინჩუკ-ვ. კარპოსოვის, მესამე — მ. ზუკოვა-ა. ვიტმანის (ყველა — მოსკოვი) წყვილებს.

ახლა ფიგურული სრიალის ოსტატებს წინ უფრო დიდი გამოცდა ელით — ევროპისა (ბელგია, 25-29 იანვარი) და მსოფლიოს (ტოკიო, 1-5 მარტი) ჩემპიონატები.

ᲬᲧᲐᲚᲑᲣᲠᲗᲘ

ათი ქულა ათიდან

საქართველოს სპორტკომიტეტის ზამთრის საკუთრივ აუზში რამდენიმე დღის კრებულებდა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ჭაბუკთა პირველობა წყალბურთში, რომელშიც მოსკოვის, კიევის, ლვოვის, თბილისის, ალმა-ათისა და ერევნის გუნდები მონაწილეობდნენ.

გუშინ, 8 შეჯიბრების უკანასკნელ დღეს თბილისელმა წყალბურთელებმა ანგარიშით 6:3 დაამარცხეს ალმაათელები.

ამრიგად, „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს 1977 წლის ჩემპიონის წოდება მოიპოვა თბილისის „დინამოს“ ჭაბუკთა გუნდმა (მწვრთნელები — სპორტის ოსტატი ბ. მეგელი და თ. ივანიშვილი). ქართველმა სპორტსმენებმა 10 შესაძლებლიდან მაქსიმუმი, 10 ქულა მოაგროვეს.

ᲢᲐᲜᲒᲕᲐᲠᲯᲘᲡᲨᲘ

მასპინძელთა გამარჯვება

თბილისში გ. ეგნატაშვილის სახელობის განათლების განყოფილების ტანგარჯიშის დარბაზში ოთხ დღეს მიმდინარეობდა რესპუბლიკის სპეციალიზებული სპორტული სკოლების პირადგუნდური პირველობა სპორტულ ტანგარჯიშში.

უფროსი ასაკის (1960-1962 წლებში დაბადებული) გოგონათა ტურნირში საუკეთესო იყო ქუთაისელი ნ. ჩოგოვაძე — 74,4 ქულა.

უმცროსი ასაკის გოგონათა (1963-64 წ.წ.) ტურნირში ყველას აჯობა განთიადელმა მ. ხროკაძემ — 70,45 ქულა.

უფროსი ასაკის ჭაბუკ ტანმოვარჯიშეთა შორის კარგად იასპარეზეს მასპინძლებმა — განათლების განყოფილების წარმომადგენლებმა. პირველი იყო ვ. ფიოდოროვი (106,35 ქულა).

უმცროსი ასაკის ჭაბუკთა შეჯიბრებაში თავი გამოიჩინა გლდანის № 2 სპორტული სკოლა-ინტერნატის წარმომადგენელმა ვ. ბუნტურამ. მან მრავალჭიდის ჯამში 104,6 ქულა მოაგროვა და საქართველოს ჩემპიონი გახდა.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა ტანგარჯიშეულ სკოლის (დირექტორი მ. იმნაძე) ნაკრებმა.

შ. ბახტაძე.

სურათებზე: ნ. ჩოგოვაძე (ზემოთ) და ვ. ფიოდოროვი (ქვემოთ).

ი. იუნანეთის ფოტო.

ᲰᲝᲙᲔᲘ

ტურნე დამთავრდა

სსრ კავშირის კლუბების ნაკრებმა დაამთავრა ამხანაგური ტურნირი ნესგაღმა, სადაც ჰოკეის მსოფლიოს ასოციაციის საუკეთესო გუნდებს ხვდებოდა.

ჩვენმა ჰოკეისტებმა 8 მატჩი გამართეს, რომელთაგან მოიგეს 6, ხოლო ორში დამარცხდნენ.

ბოლო შეხვედრა გაიმართა კვირას კანადის ქალაქ კვებეკში ადგილობრივ „კვებეკ ნორდიკსის“ კლუბთან. სტუმრებმა ამჯერად სუსტად ჩაატარეს ორთაბრძოლა და დამარცხდნენ დიდი ანგარიშით 1:6. ეს ერთადერთი შაიბა კანადელთა კარში გაიტანა საბჭოთა გუნდის კაპიტანმა ბ. მისაალოვმა.

ტურნეს დროს ჩვენმა მწვრთნელებმა გასინჯეს 25 ჰოკეისტი, რომელთაგან საუკეთესონი დაიცავენ საბჭოთა ნაკრების ღირსებას ვენის მსოფლიოს ჩემპიონატში.

მოკლედ

ჰავრანი. ჰასტინგსის (ინგლისი) ტრადიციულ საახალწლო ტურნირს ლიდერობს საბჭოთა მოჭადრაკე — ლვოველი დიდოსტატი ოლეგ რომანიშინი. მას 9 ტურის შემდეგ 7,5 ქულა აქვს. მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა, მოსკოველმა დიდოსტატმა ვასილ სმისლოვმა 5 ქულა მოაგროვა.

რიგაში დაიწყო ჭაბუკთა (36 მონაწილე) და გოგონათა (24 მონაწილე) საკავშირო ჩემპიონატები ჭადრაკში. თბილისელმა ოსტატმა ზ. სტურუამ ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ვ. ზაურასთან (ლიტვა), ოსტატები ნ. იოსელიანი და ნ. გურიელი დამარცხდნენ ოსტატობის კანდიდატებთან მ. აფინოგენოვასთან და ჭ. მელაშვილთან.

მაგიდის ჩოგბურთი. 28 წლის მოსკოველმა სტანისლავ გომოზკოვმა მესამედ გაიმარჯვა ინგლისის ტრადიციულ ღია ჩემპიონატში. ფინალში მან დაამარცხა მასპინძელთა ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელი დესმონდ დუგლასი — 3:1.

ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების მეორე ტურის პირველ მატჩში (ცსკა-ს ვაკთა გუნდმა ჰაგაში მოუგო ჰოლანდიის „სტარლიფტს“ — 3:0, მოსკოვის „დინამოს“ ქალებმა ევროპის ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში პრაღაში სძლიეს ადგილობრივ „რხ“-ას კლუბს — 3:1.

კალათბურთი. ვაკთა საკავშირო ჩემპიონატზე მოსკოვის „დინამომ“ მოუგო სვერდლოვსკის „სკოლამაშს“ — 108:71, ვლადივოსტოკის „სპარტაკმა“ — ვილნიუსის „სტატიბას“ — 94:78, რიგის სკა-მ წაგო ლენინგრადის „სპარტაკთან“ — 65:68. გუშინ მოსკოვში ცსკა შეხვდა კიევის „სტროიტელს“. ანგარიშით 96:84 გაიმარჯვეს არმიელებმა და გათამაშების ერთპიროვნული ლიდერება გახდნენ.

მძლეოსნობა. 21 წლის მძლეოსანმა ალექსანდრე გრიგორიევმა მინსკში გამართულ შეჯიბრებაზე „ფოსბიურის“ სტილით 226 სანტიმეტრი სიმაღლე დაძლია. ეს შედეგი ერთი სანტიმეტრით აღემატება ევროპისა და სსრ კავშირის რეკორდს დახურული დარბაზებისათვის, რომელიც 16 წლის წინ ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონმა ვალერი ბრუმელმა დაამყარა.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

11 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში — ფერადი გამოსასულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — საქართველოს რადიოს 50 და ტელევიზიის 20 წლისთავისადმი მიძღვნილი ქართული სატელევიზიო ფილმების ფესტივალი — ფერადი დოკუმენტური ფილმი „ორია გურჯიტაცადდ“, 11.05 — მეექვსე კლასელთათვის — ფიზიკა, 11.35 — მხატვრული ფილმი „ვერონიკა“ ფერადი გამოსახულებით, 13.00 — ქართული სატელევიზიო ფილმების ფესტივალი — ფერადი დოკუმენტური ფილმი „ოცდაბის ბალეტრა“, 17.15 — ირაკლი აბაშიძის შემოქმედება (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.00 — ქართული სატელევიზიო ფილმების ფესტივალი — — დოკუმენტური ფილმი „კოლხიდა-608“, 18.10 — მოსწავლეთათვის — ინგლისური ენა, 18.40 — კინოჟურნალი, 18.50 — „კანონი და კანონიერება“, 19.10 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 19.40 — „სოციალისტური ცხოვრების წესი და ხალხის კეთილდღეობა“ გადაცემა მიძღვის ბალეტრიკურ მიძღვილველს ლ. ვოხხესენსკის — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.40 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „თავგადასავლები შორეულ ჩრდილოეთში“ (1 სერია) პრემიერა — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.35 — ქართული „სატელევიზიო ფილმების ფესტივალი — ფერადი მუსიკალური ფილმი „ორერა“ სრული სვლით“.

მეორე პროგრამით

18.05 — საქართველოს რადიოს 50 და ტელევიზიის 20 წლისთავისადმი მიძღვნილი ქართული სატელევიზიო ფილმების ფესტივალი — დოკუმენტური ფილმი „საქართველოს ბაზა“, 18.20 — მეექვსეკლასელთათვის — ფიზიკა, 19.05 — ქართული სატელევიზიო ფილმების ფესტივალი — დოკუმენტური ფილმები „ციმბირის პაპა“, „არღანი“, „ქართული საგალობლები“ — ფერადი გამოსახულებით, 20.30 — განცხადებები, 20.35 — შეხვედრა ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბში, 21.05 — მხატვრული ფილმი „თავისუფალი სუნთქვა“.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

11 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **რას იტყვის ხალხი;** ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **ᲥᲐᲠᲐᲛᲐᲡᲘ ᲯᲐᲚᲘ ᲛᲘᲯᲐᲕᲘ.**

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ორგზის სოციალისტური შრომის გმირი, საკოლმეურნეო მოძრაობის ვეტერანი, საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე

ᲐᲜᲗᲘᲛᲝᲖ ᲛᲘᲖᲔᲚᲘᲜᲘᲡ-ᲫᲔ ᲠᲝᲖᲐᲕᲐ

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექცია, პარტორგანიზაცია და ადგილკომი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ინსტიტუტის განყოფილების გამგე, სკკპ წევრი 1928 წლიდან, თვალსაჩინო პარტიული და საბჭოთა მუშაკი

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲘᲕᲐᲜᲔᲡ-ᲫᲔ ᲙᲝᲯᲚᲐᲕᲐᲨᲕᲘᲚᲘ

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ᲡᲮᲕᲐ ᲒᲐᲛᲪᲔᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ

ნაბიჯი ᲕᲐᲠᲘᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲒᲠᲘᲒᲝᲚᲐᲕᲘᲡᲐᲙᲔᲜ

მეცნიერული კვლევა ბერმუდის სამკუთხედის რაიონში

„პოლიგონი“ — ასე ეწოდება საბჭოთა-კავშირ-ამერიკის პროგრამას ოკეანის გრიგალთა შესწავლისათვის, რომლის განხორციელებაში საბჭოთა სამეცნიერო-კვლევითი გემები მონაწილეობენ, ერთ-ერთმა მათგანმა — „აკადემიკ ვერნადსკიმ“ — წარმატებით შეასრულა კვლევის კომპლექსი ბერმუდის სამკუთხედის რაიონში და დაბრუნდა სევასტოპოლის ნავსადგურში. „კომსომოლსკაია პრავდას“ კორესპონდენტმა ვ. ნესმეიანოვმა ექსპედიციის უფროსის მოადგილეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატს ვლადიმერ ᲙᲨᲨ-ᲜᲘᲡ სთხოვა გაეზიარებინა თავისი შთაბეჭდილებანი.

— დიდი მასშტაბის გრიგალური წარმონაქმნების მოვლენა საბჭოთა მეცნიერებმა პირველად აღმოაჩინეს ატლანტიკის ტროპიკულ ზონაში „პოლიგონ-70“ პროგრამის განხორციელების დროს. ამ გრიგალებს (ატმოსფეროში ციკლონების ანალოგიურებს) კინეტიკური ენერგიის უზარმაზარი მარაგი აქვს და შესაძრნევ გავლენას ახდენს ოკეანის ენერგეტიკულ ბალანსზე.

ზოგიერთი გრიგალი წარმოიშობს გოლფსტრიმს და მათ ეწოდება „რინგები“. „რინგი“ 100-150 კილომეტრი დიამეტრის წყლის უზარმაზარი კონუსისებრი მასაა. სწყდება რა გოლფსტრიმს, „რინგი“ გადაინაცვლებს ოკეანეზე ფდღე-ღამეში რამდენიმე კილომეტრს გადის. ამავე დროს იგი წყაროში 1-1,5 მეტრი სიჩქარით ბრუნავს. ამ ბრუნვის შედეგად ფსკერიდან ცივი წყლები ამოდის. ოკეანეში ამდენი სითბოს გადანაცვლება გავლენას ახდენს ატმოსფერულ მოვლენებზეც.

„ბიგ ბენი“ — ასე ეწოდება მეორე სახეობის გრიგალებს. მათი ზომა 300-400 კილომეტრს აღწევს, და ბუნება ჯერჯერობით უცნობია: საბჭოთა მეცნიერებთან ერთად გრიგალთა საიდუმლოებებზე ამერიკელი ოკეანოგრაფები მუშაობდნენ. ორივე პროგრამის მიზანი ერთი და იგივე მოვლენების შესწავლა იყო. ამიტომ 1974 წლიდან გადაწყდა გეეერთიანებებნათ მეცადინეობა და სახსრები შემდგომი კვლევისათვის, ასე „იშვა“ „პოლიგონი“.

ერთობლივი პროექტით ძირითადი კვლევა დაგეგმილია 1977-78 წლებისათვის. მასში მონაწილეობა უნდა მიიღონ ინგლისის, კანადის, საფრანგეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მეცნიერებმაც. ამ მიზნის მიღწევის გზაზე პირველი ნაბიჯი უნდა გადაიდგა „აკადემიკ ვერნადსკის“. ეს ეკეთაყს უნდა ეწარმოებინა კვლევა-ძიება, რომელიც საშუალებას იძლეოდა განესაზღვრათ, ასე ვთქვათ, პრობლემისადმი მიდგომის გზები, შეექმნათ შესაბამისი ფიზიკურ-მათემატიკური მოდელები, დაეზუსტებინათ ექსპერიმენტის რაიონი.

წინასწარ ვიტყვი, რომ ექსპედიციამ თავი გაართვა დასახულ ამოცანებს. გარდა ამისა, საბჭოთა სპეციალისტებმა მონაწილეობა მიიღეს ედინბურგში გამართულ ოკეანოგრაფთა საერთაშორისო ასამბლეაში. ამიტომ სევასტოპოლიდან „აკადემიკ ვერნადსკიმ“ კურსი აიღო ბრიტანეთის კუნძულებისაკენ. ამ ასამბლეაზე გამოვიდნენ ავტორიტეტიანი მეცნიერები.

ჩვენს სამეცნიერო-კვლევითს გემთან ერთად სავსაგდურში ღუნა ჩაუშვა კიდევ ინგლისის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ამერიკის შეერთებული შტატების რამდენიმე კვლევითმა ხომალდმა. მაგრამ ზომითა და ტექნიკური შესაძლებლობებით ვერც-ერთი მაათანი ვერ შეედრებოდა საბჭოთა გემს. ნავსადგურში ყოფნისას ყოველდღე ვიღებდით ხოლმე ექსკურსიებს.

შემდეგ ერთობლივად უნდა გვემუშავა ამერიკელ მეცნიერებთან, რომლებიც გემზე ავიყვანეთ ბოსტონში. ვსწავლობდით ოკეანეში გრიგალური წარმონაქმნების ოპტიკას, ქიმიას, ბიოლოგიას, ეზომავდით ტემპერატურას... და ამ დროს ვიყენებდით ამერიკულ ლედამიწის ხელოვნურ თანამგზავრებს: მათ საშუალება მოგვცეს განუწყვეტლივ გვეკონტროლებინა ტროპიკოვიის მდებარეობა ოკეანეში. ამისათვის ჩვენი ტიტივეები აღვპურავეთ ამერიკელი მოპასუხეებთან. გარდა ამისა, თანამგზავრების საშუალებით მივიღეთ საწყისი ინფორმაცია გოლფსტრიმის „რინგების“ მდგომარეობის შესახებ. „აკადემიკ ვერნადსკის“ რეისის დამთავრების შემდეგ ოკეანეში მეცნიერულ ვახტზე დადგა კვლევითი გემი „მიხაილ ლომონოსოვი“.

ვფიქრობ, რომ მიღებული მონაცემები არსებითს წვლილს შეიტანს ოკეანეში მიმდინარე პროცესების გაგებაში, ხელს შეუწყობს გრძელვადიანი პროგნოზირების დამუშავებას, ამ მონაცემებს შეიძლება აგრეთვე პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდეს ნავიგაციისა და თევზჭერისათვის.

ᲯᲐᲛᲘᲜᲓᲘ

დღეს დასავლეთ საქართველოში უმეტესად მშრალი ამინდია მოსალოდნელი, სუსტი ქარი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 3-8, მთებში 1-5 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოშიც მშრალი ამინდია მოსალოდნელი, ტემპერატურა 3 გრადუსი ყინვა — 2 გრადუსი სითბო. მთებში 2-7 გრადუსი ყინვა.

თბილისში მოსალოდნელია მშრალი ამინდი, ტემპერატურა ნული — გრადუსი სითბო.

რედაქტორი
დ. მჟედლიშვილი.

1975 ᲬᲚᲘᲡ 24 აგვისტო სამუშაო დღე იყო, ორშაბათი. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს სოციალისტური საკუთრების მტაცებლობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი გაყოფილების ერთ-ერთ ოპერატიულ ჯგუფს სასწრაფო დავალება ქონდა შესასრულებელი. მაგრამ ჯგუფის ხელმძღვანელი, მილიციის უფროსი ლეიტენანტი ნოდარ თოფურია აღარსად ჩანდა. ამ დღეს საერთოდ იგი არ გამოცხადებულა სამსახურში, არც დაურეკია. ეს უპრეცედენტო შემთხვევა იყო. ავად თუ გახდაო, იფიქრეს და ის იყო შინ უნდა მეგაკითხაო, რომ ამ დროს მოვიდა მისი და: ის აქეთ კითხულობდა და ეძებდა ნოდარს — არც შაბათ ღამით, არც კვირას შინ არ ყოფილაო. არც არავინ აღმოჩნდა ბისი მნახველი ამ ორი დღის განმავლობაში.

ეს „კარგი ნიშანი“ არ იყო. მართალია, საკუთარი მსუბუქი ავტომანქანით „ჟიგულით“ იყო გამოსული სახლიდან, მაგრამ სად უნდა წასულიყო? თუ რამ ხიფათი შეემთხვა, გაუგებარი არ დარჩებოდა. არა და არც მანქანა ჩანდა, არც კაცი.

მეოთხე დღეს, 1975 წლის 25 აგვისტოს მცხეთის რაიონის სოფელ წილკანში ამოვნეს უპატრონოდ მიგდებული ავტომანქანა, თავად ნოდარის კვალი კი არ ჩანდა.

ახლა უკვე ცხადი იყო, კარგი რომ არაფერი სჭირდა მას.

გამოცხადდა ძებნა.

1975 წლის 30 აგვისტოს სულ სხვა საქმეზე დაუპატიმრეს პიმენ ავქსენტის-ძე გურეშიძე, მას შინ უპოვნეს „შტოკის“ ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი და ვაზნები, რასაც ის უნებართვოდ ინახავდა. პ. გურეშიძის პიროვნების შესწავლისას გამოძიებამ ყურადღება მიიქცია ერთ, თითქოს არც თუ მნიშვნელოვან ფაქტს. სამართალში მიცემულს თურმე თავის უბანში ეფორ იცნობდნენ მეტსახელით — „ტოგლია კოლექციონერი“.

„კოლექციონერი“ — ეს სახელი უგანგებოდ არ შეიძლება დაიწოდებოდეს მისთვის. იქნება მართლა რაღაცის კოლექციებს აგროვებს.

ამაზე თვითონ მას რომ ჰკითხეს, ჯერ დაიბნა, მერე კი გულწრფელად აღიარა — იარაღი მიყვარდა, ეყიდულობდი და ვყიდდი და ამისათვის დამარქვეს კოლექციონერი.

კარგად რომ ჩაკითხეს, გაიხსენა ორი კაცი, ვისაც ბოლო დროს ვაზნები მიპყიდა — ჩემს უბნელ ბიჭებს — შურიკას და სლავიკას მივყიდე, ბოლშევიკოვის სისტემის ავტომატის 100 ცალი ვაზნაო.

შურიკა და სლავიკა აღმოჩნდნენ ალექსანდრე გიორგის-ძე ანდღულაძე და ვიაჩესლავ ალბერტის-ძე მელქონიანი. როცა ესინი მოძებნეს და დაკავეს, მათაც აღიარეს, რომ ნამდვილად შეიძინეს ვაზნები „ტოგლია კოლექციონერისაგან“. გამოძიება ჩაღრმავდა და ჩაეძია ვაზნების ამბავს და მალე დანაშაულში ეპეპმიტანილები გამოტყდნენ, რომ ვაზნები ავტომატისათვის გამოიყენეს, ამ ავტომატით კაცი მოკლეს 22 აგვისტოს, ბოლოს მოკლულის ადგილსამყოფელზეც მიუთითეს და გვამი აჩვენეს.

მოკლული სწორედ ნოდარ თოფურია აღმოჩნდა. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პროკურატურამ გამოძიებით დაადგინა, რომ ნ. თოფურიას მკვლელები არიან განსაკუთრებით სიმაღლე ბოროტმოქმედნი, რომელთა ავტომანქანა შეიარაღებული იყო ცეცხლსასროლი და ცივი იარაღით და წლების განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთაც ეწეოდნენ ქურდობას, ძარცვას, კლავდნენ მოქალაქეებს, იტაცებდნენ სახელმწიფო ქონებას, ზოგი ამ ბანდიტთაგანი სპასტერმოდან იყო გაქცეული, ახალ-ახალ დანაშაულს სჩადიოდა და მორევში ითრევდა სხვებსაც. საგამომძიებლო ორგანოებმა გამოავლინეს ამ ბოროტმოქმედთა მიერ ადრე ჩადენილი, მანამდე გაუხსნელი მრავალი მძიმე დანაშაული.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგია სამსჯავრო სხდომებზე დ. მატიკაკის თავმჯდომარეობით და რესპუბლიკის პროფესორ-მასწავლებელ ნ. ოქრუაშვილის მონაწილეობით სამ თვეს არჩევდა ამ ბოროტმოქმედთა საქმეს. საბრალდებო სკამზე ოჯდა 23 კაცი. აქ ერთხელ კიდევ საბოლოოდ გაირკვა და ფარდა აეხადა მათ მიერ ჩადენილ ყველა დანაშაულს.

მაგრამ აქ მკითხველის ყურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ ერთ ეპიზოდზე. კერძოდ, ნოდარ თოფურიას მოკვლის ამბავზე, რაშიც ყველაზე მკვეთრად გამოვლინდა ამ ბანდიტთა და ბოროტმოქმედთა სახე.

შეიარაღებული ბანდის ხელმძღვანელი ალექსანდრე (იგივე შურიკა) გიორგის-ძე ანდღულაძე ჯერ 19 წლისაც არ იყო, როცა 1967 წელს ქურდობისათვის იქნა გასამართლებული და სასჯელიც მოიხადა. 1974 წელს მეორედ გასამართლეს და სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. გალის რაიონის სახალხო სასამართლოს 1975 წლის 23 აპრილის განჩინებით პირობით გაათავისუფლეს და სასჯელის მოუხდელი ვადის მოსახდელად მიმგრეგულ იქნა ერთ-ერთი ქარხნის მშენებლობაზე სამუშაოდ. მაგრამ აქ მას ერთ დღეს არ უმუშავნია, მიატოვა მშენებლობა და გაიპარა. დაბრუნდა თბილისში და თან ახალი დანაშაულებრივი გეგმების შედგენას შეუდგა: დაუკავშირდა თავის ძველ მეზობლებს და განუყრელ მეგობრებს ნოდარ შეპილოვს და ვიაჩესლავ მელქონიანს, შემდეგ მათ იური ჩუბინიძეც შემოუერთდა, რომელიც მაშინ მძღოლად მუშაობდა ერთ ერთ ინსტიტუტში. ბანდიტებმა მოილაპარაკეს და გადაწყვიტეს შეიარაღებული თავდასხმა მოუწყოთ თბილისში ლენინის ქუჩაზე № 76-ში მდებარე სახელმწიფო შემნახველ სალაროზე და გაეტაცოთ ფული.

განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით წინასწარ საგულდაგულოდ მოამზადეს ყველაფერი: № 18 პროფტექნიკურ სასწავლებელში მოიპარეს ორი სასწავლო ავტომატი და საბრძოლო იარაღად გადააკეთეს, იშოვნეს სამხედრო ოფიცრის ტანსაცმელი. ბანდიტური გეგმა ითვალისწინებდა შემნახველ სალაროზე შეიარაღებული თავდასხმის მოწყობას და ფულის გატაცებას კერძო ავტომანქანით (სახელმწიფო ავტომანქანის გამოყენება ამ საქმისათვის სახიფათოდ ჩათვალეს), მაგრამ რადგან ავტომანქანა არც ერთს არ ჰქონდა, გადაწყვიტეს წაერთმიათ ვინმესთვის.

განზრახვის აღსრულების დღეც დადგა. 1975 წლის 22 აგვისტოს ბანდიტებმა დილითვე შეარჩიეს და დაათვალიერეს ის ადგილი, სადაც უნდა გაეტაცებინათ ავტომანქანის მფლობელი, რომ მანქანა წაერთმიათ.

საღამოხანს, როცა შებინდდა, სამხედრო ოფიცრის ტანსაცმელში გამოწყობილი ა. ანდღულაძე და ნ. შეპილოვი უკვე პეკინის ქუჩაზე იდგნენ სახელმწიფო არქივის ძაღალ შენობასთან და ცდილობდნენ რომელიმე კერძო ავტომანქანა შეეჩერებინთ. სწორედ ამ დროს სამსახურიდან გამოსულმა ნოდარ თოფურიამ ორი თავისი ამხანაგი მიაცილა მანქანით სახლამდე და ახლა შინ მიეშურებოდა. ამ დღეს მილიციელის ფორმა არ ეცვა. სამხედრო ოფიცრის ტანსაცმელში გამოწყობილმა ორმა ახალგაზრდამ ანიშნა თუ არა, მან მაშინვე შეაჩერა მანქანა და მიმართა — სად მიგიყვანოთო. ვიაჩესლავ მელქონიანს პროსპექტისა და ჯიქიას ქუჩის ბოლომდე მივიდნენ, ქალაქის განაპირას დაუსახლებელ ადგილამდე, სადაც მათ საბარგო ავტომანქანა „გაზ-69“-ით ელოდნენ ამ ბანდის კიდევ ორი მონაწილე ვ. მელქონიანი და ი. ჩუბინიძე.

უკვე დაღამდა. ახლო-მახლო ადამიანის ჭაჭანება არ იყო. ბანდიტები მაშინვე თავს დაესხნენ ნოდარ თოფურიას, თავში ავტომატი ჩაარტყეს და საჭეს მოაშორეს. „ჟიგულის“ საჭეს ბანდის წევრი ი. ჩუბინიძე მიუჯდა. ნ. თოფურია წინა საჯდომზე შუაში მოიმწყვდიეს ა. ანდღულაძემ და ი. ჩუბინიძემ, უკან კი ნ. შეპილოვი იჯდა ავტომატმომარჯვებული და ნოდარ თოფურიას ყელი გამოსჭრეს და მუცელი დანით დაუსერეს.

იმის შემდეგ, რაც კაცი მოკლეს და მანქანა ჩაიგდეს ხელში, ერთბაშად ბანდიტებმა თავიანთ ძირითად განზრახვაზე აიღეს ხელი. ახლოდა დაფიქრდნენ იმაზე, რომ შეიძლება ღამით შემნახველ სალაროში იმდ